პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე 3 სართული.
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის ქ., № 24 მე-2. სართული ტელეფ. № 5—43

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100,000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 625 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადებები—10 ათ. მ. მონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 261 სამშაბათი, 21 ნოემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 261

დღიური

გერმანიაში მთავრობის კრიზისი გრძელდება.

მუსოლინიმ განაცხადა რომ ის მომხრეა ყველა კონფერენციებზე რუსეთის მონაწილეობის.

ჩინეთში კაბინეტი გადადგა.

ხალიფად არჩეულია ოსმალეთის ტახტის მემკვიდრე აბდულ მეჯიდი.

სტამბოლში მოკლულია ოსმალეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი მუსეინ ხალილ ბეი.

აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს საბჭოების ყველა ცენტრალურ, საოლქო, საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს

1922 წლის 12 მარტს აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკების მშრომელთა მასების ნებაყოფლობით ამ რესპუბლიკებმა დადეს ურთიერთ შორის ფედერატიული კავშირი და დაარსეს ამიერ-კავკასიის საბჭოთა მთავრობა საკავშირო საბჭოს სახით. ამიერ-კავკასიის ფედერაციამ რვა თვის არსებობით დაამტკიცა არა მარტო სიცოცხლის უნარიანობა, არამედ მისწრაფებაც ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის კიდევ უფრო მჭიდრო და მტკიცე კავშირისაკენ და ამიერ-კავკასიის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ძმური გაერთიანებისაკენ. იღებენ რა ამას მხედველობაში, აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები 10 დეკემბერს იწვევენ ქალ. ბაქოში საბჭოების ამიერ-კავკასიის ყრილობას ყველა რესპუბლიკების საბჭოების სამაზრო ყრილობათა უშუალო წარმომადგენლობის საფუძვლებზე, ამასთანავე ნახიჩევანს, აჭარას და სამხრეთ-ოსეთის ოლქს შეუძლიათ წარგზავნონ ყრილობაზე წარმომადგენლები უშუალოდ რესპუბლიკების და საოლქო საბჭოების ყრილობიდან.

საბჭოების ამიერ კავკასიის ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა შემდეგია: **ერთი დელეგატი ყოველ 3000 ამომრჩეველზე** ქალ. ბაქოში, თფილისში, ერევანში, ბათუმში, სოხუმში, ალექსანდროპოლში, განჯაში, ქუთაისში და ფოთში, და ამიერ კავკასიის ყველა დანარჩენ ადგილებიდან **ერთი დელეგატი ყოველ 15 000 მცხოვრებზე.**

ყრილობის დღის წესრიგი:

1) დებულება საბჭოთა ფედერაციის შესახებ.
2) საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ.
3) საკავშირო საბჭოს ანგარიში.
4) ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუცია.
5) სოციალისტური რესპუბლიკების საბჭოების ყრილობაზე დელეგატების არჩევა.
6) ამიერ კავკასიის ცენტ. აღმას. კომიტეტის არჩევნები და
7) მიმდინარე საქმეები.

ყრილობაზე დელეგატების არჩევნების ჩასატარებლად და ყრილობის მოსაწყობად შედგენილია საორგანიზაციო კომისია ამხ. შ. **ელიავას, ს. ამბარცუმიანის, ხანბუდაგოვის, იაკუბოვის და ა. გეგეჭკორის** შემადგენლობით, რომელსაც უნდა მიმართონ არჩევნების და ყრილობის შესახებ ყოველგვარ ცნობების მისაღებად; საორგანიზაციო კომისია მოთავსებულია ქ. თბილისში, სასახლე, საკავშირო საბჭო.

აზერბეიჯანის საბჭოების ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე—**აღამალი ოღლი.**

სომხეთის ცენტრ. აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე—**ს. ამბარცუმიანი.**

საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომისიისაგან

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომისია აქვეყნებს ამიერ კავკასიის საბჭოების ყრილობაზე დელეგატების არჩევნების შემდეგ წესებს:

1. აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს ყველა მაზრებში არაგვიანეს 1922 წ. პირველი დეკემბრისა მოწვეულ უნდა იქნან საბჭოების სამაზრო ყრილობები, თანახმად კონსტიტუციისა და სათანადო დებულებებისა, რომელიც დაწესებულია თვითეულ რესპუბლიკაში.

2. საბჭოების სამაზრო ყრილობები არჩევენ თავის შემადგენლობიდან დელეგატებს უშუალოდ საბჭოების ამიერ კავკასიის ყრილობაზე შემდეგი ანგარიშით: ერთს დელეგატს თვითეულ 15.000 ამომრჩეველთაგან, ამასთანავე თვითეულ ზედმეტ 7.500 ამომრჩეველთაგან აირჩევა ერთი დელეგატი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში თუ სამაზრო ყრილობების მიერ დელეგატები არ იქნებიან არჩეულნი, უშუალოდ ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე, ეს ჩაითვლება არჩევნების კასაციის საბაბად.

3. სამაზრო საბჭოების ყრილობაზე არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ყველა მაზრებში სათანადო აღმასკომების განკარგულებით და ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მომწვევი კომისიის დამტკიცებით ეწყობა საარჩევნო კომისიები ამა თუ იმ მაზრის აღმასკომის ორი წარმომადგენლის და სამაზრო პროფორგანიზაციის 1 წარმომადგენლის შემადგენლობით.

4. სამაზრო საარჩევნო კომისიები თვალყურს ადევნებენ სამაზრო ყრილობაზე არჩევნების ჩატარებას, ცნობებს აწვდიან სამაზრო აღმასკომს არჩევნების მიმდინარეობის შესახებ, იხილავენ პროტესტებს, საჩივრებს სამაზრო ყრილობაზე არჩევნების უწესოდ წარმოების შესახებ და არჩევნების დამთავრების შემდეგ მთელ საარჩევნო მასალას უდგენენ ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომისიას. სამაზრო საარჩევნო კომისიები არ აწყობენ საკუთარ აპარატებს, ხოლო სარგებლობენ სამაზრო აღმასკომების მართველობის განყოფილებათა აპარატით.

5. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აჭარის, ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკებში ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები მეორე მუხლში აღნიშნულ ნორმის მიხედვით, საოლქო აღმასკომის ან რესპუბლიკების ც. ა. კ—ის განკარგულების და საორგანიზაციო კომისიის დადასტურების შემდეგ, შეიძლება მოხდეს უშუალოდ საოლქო და რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობებზე, რომელნიც მოწვეულნი იქნებიან ამა თუ იმ ოლქში ან ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებულ დებულების თანახმად, პირველ მუხლში აღნიშნულ ვადის გასვლამდე.

6. მეხუთე მუხლში აღნიშნულ ოლქებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში საოლქო და რესპუბლიკების საბჭოთა ყრილობების მოწვევის დროს ამ ყრილობებზე დელეგატების არჩევნებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად სათანადო საოლქო აღმასკომის და რესპუბლიკების ც. ა. კ. თა განკარგულებით, ეწყობა საოლქო და რესპუბლიკების საარჩევნო კომისიები მე 3 ე მუხლში აღნიშნულ შემადგენლობით და მე-4-ე მუხლში ჩამოთვლილ ფუნქციებით.

7. ქალაქებში: ბაქოში, თბილისში, ერევანში, სოხუმში, ალექსანდროპოლში, განჯაში, ქუთაისში და ფოთში ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები პირველ მუხლში აღნიშნულ ვადაზე ხდება უშუალოთ სათანადო ქალაქის საბჭოების მიერ ამა თუ იმ საბჭოს პლენუმის სხდომაზე, შემდეგი ნორმით: 3 ათას ამომრჩეველთაგან თითო დელეგატი, ხოლო თვითეულ 1500 ზედმეტ ამომრჩეველთაგან ერთი დელეგატი.

8. მე-7-ე მუხლში ჩამოთვლილ ქალაქების საბჭოების მიერ დელეგატების არჩევნები სწარმოებს სათანადო ქალაქის აღმასკომის განკარგულებით.

9. ყველა ყრილობებზე და აგრეთვე ქალაქის საბჭოების პლენუმების სხდომებზე, რომელზედაც მოხდება დელეგატების არჩევანი ამიერ კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე დღის წესრიგში უნდა დაისვას შემდეგი საკითხები: ა) საბჭოთა ფედერაციის მდგომარეობა, ბ) საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ, გ) ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის შესახებ, ე) საარჩევნო კომისიის ან ქალაქის აღმასკომის მოხსენება ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე არჩევნების წესის შესახებ და ვ) მიმდინარე საქმეები.

10. ყველა საარჩევნო კომისიები, და აგრეთვე ქალაქის აღმასკომები სათანადო სამაზრო (ან საოლქო და რესპუბლიკის ყრილობებზე) და ქალაქის საბჭოთა პლენუმების ყრილობებზე დელეგატების არჩევნების მიმდინარეობის და ამ ყრილობაზე ამიერ კავკასიის საბჭოთა ყრილობის დელეგატების არჩევნების შესახებ დაუყონებლივ აწვდიან ცნობებს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომისიას.

11 სამაზრო (ხოლო სადაც იქნებიან მოწყობილი საოლქო და რესპუბლიკების) საარჩევნო კომისიები და ავტონომიურ რესპუბლიკების ც. ა. კ—ბი და ქალაქის აღმასკომები ყველა თავიანთ განკარგულებათა და მოქმედებებში ემორჩილებიან ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომისიას.

12. არჩევნები ცენტრალურ სამხედრო ნაწილებში და დაწესებულებათაგან (ქალაქის და მაზრის მილიციის, რკინის გზათა მილიციის და საგანგებო კომისიის სამხედრო ნაწილებისაგან) სწარმოებს საერთო წესით. წითელი არმიის დანარჩენ დაწესებულებათა მიერ დელეგატების არჩევნების წესი განისაზღვრება საორგანიზაციო კომისიის განსაკუთრებული ინსტრუქციით.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომისია: **ელიავა, იაკუბოვი, გეგეჭკორი, ამბარცუმიანი, ხანბუდაგოვი.**

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ლოიდ ჯორჯის დამხობის და იტალიაში ფაშისტების დიქტატურის დამყარების შემდეგ, რიგი ვირტის კაბინეტზე მიდგა. რადიომ გადმოგვცა ამბავი მისი დაცემის შესახებაც. ეს ფაქტი ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა იმ საერთო რეაქციის, რომელიც მძვინვარებს დღეს ევროპაში. ვირტის კოალიციონური მთავრობა, რომელშიც შედიოდენ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელნიც, ადრე თუ გვიან უნდა დამხობილიყო, ვინაიდან ის აწარმოებდა ორ სკამ შუა ჯდომის პოლიტიკას, მას არ გააჩნდა გერმანიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მტკიცე, გარკვეული ბაზა. ვირტის მთავრობის დამხობა საგულისხმოა, როგორც სრული გაკოტრება იმ პოლიტიკის, რომელიც ცდილობს ერთგვარ წონასწორობის და თანამშრომლობის დამყარებას სოციალურ ძალებ შორის კაპიტალისტურ რეჟიმის საფუძვლებზე. ცხადია, რომ ფაქტიურად ეს იყო არა შერიგება შრომის და კაპიტალის ინტერესების, არამედ მუშათა კლასის უსაზღვრო ექსპლოატაცია ბურჟუაზიის მიერ, რომელ პოლიტიკასაც ეს უკანასკნელი უფრო ღოლად ატარებდა სოციალ შემთანხმებლების საშუალებით. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ასეთი პოლიტიკის და მისი გამტარებელ კოალიციონურ მთავრობის წინააღმდეგ იბრძოდა არა მარტო რევოლიუციონური პროლეტარიატი, მით უკმაყოფილო იყო ზურგ გამაგრებული მსხვილი ბურჟუაზიაც, რომელიც კიდევ მეტ უფლებებს და შესაძლებლობას მოითხოვს. საქმე ის არის, რომ გერმანიის ფაქტიური დიქტატორია დღეს სტინესი და მისი პარტია, ე. წ. სახალხო პარტია, იგია მესაჭე ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების. ხოლო ეს პარტია არ შედიოდა მთავრობაში, რაც ბურჟუაზიული-პარლამენტარული თვალსაზრისით ერთგვარი შეუსაბამობაც იყო. ვირტმა, რომელიც სათამაშოდ იქცა სტინესის ხელში, მოინდომა კოალიციის გაფართოვება და კაბინეტში შეყვანა სახალხო პარტიის წარმომადგენლებისა. ეს გამარჯვებაა უკიდურესი რეაქციის. „სოციალისტებს“ მუშათა კლასის ზეგავლენით თითქო შეეშინდათ სტინესთან ფორმალური თანამშრომლობის (ფაქტიურად ისინი ბევრი ხანია მის აგენტობას ასრულებს) და მაზე უარი განაცხადეს, რაც გახდა ვირტის გადადგომის უშუალო მიზეზი.

და აქ დღის წესრიგში დადგა ლოზუნგი პროლეტარიატის ერთიანი ფრონტისა მუშათა მთავრობის შესადგენად. ამას მოითხოვდა კომუნისტური „როტე ფანე“, ეს იყო კომუნისტური პარტიის ბრძოლის საგანი. მინიმალური პლატფორმა, რომლის ნიადაგზე უნდა მომხდარიყო კომუნისტების და „სოციალისტების“ შეთანხმება დაახლოვებით შემდეგია: მუშათა მთავრობის შედგენა, პოლიტიკური ამნისტიის გამოცხადებით, კონტროლი წარმოებაზე, მილიციის შექმნა მუშებისაგან, იძულებითი სესხი კაპიტალისტების ხარჯზე და წარმოების აღორძინება საყოველთაო შრომის ბეგარის შემოღების გზით.

ეს პლატფორმა, რომელიც წამოაყენა საქსონიის კომპარტიამ, შეიძლება ჩაითვალოს მთელი გერმანიის კომპარტიის პლატფორმად. ეს არ არის ჩვენი საბოლოო მიზანი, არამედ მინიმუმია, რომელიც ნიადაგს მოუმზადებს პროლეტარიატის დიქტატურას.

მაგრამ ჩვენ ვიცნობდ შემთანხმებლების ბუნებას: მათ ერთიანი ფრონტის უფრო ეშინიათ, ვინემ სტინესის დიქტატურის, ვინაიდან ერთიანი ფრონტი ხელმძღვანელობას კომუნისტებს მიანიჭებს, და ამიტომაა ისინი სისტემატიურად ეწევიან მის საბოტაჟს.

და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ ესდეკი პრეზიდენტი ებერტი ანდობს ახალი მთავრობის შედგენას „ჰამბურგ-ამერიკა“ ს საზღვაოსნო საზოგადოების დირექტორს კუნოს. „ბურჟუაზიული პარტიები მხურვალე სალამს უგზავნიან პრეზიდენტ ებერტს იმის გამო, რომ მან კუნოს მიანდო კაბინეტის შედგენა; საფინანსო და სავაჭრო-სამრეწველო წრეები მას დიდი ამბით ესალმებიან. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაადგინა მხარი დაუჭიროს კუნოს მიერ კაბინეტის შედგენას; კუნოს კაბინეტის შედგენის პროექტი მიღებულ იქნა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ სრულის კმაყოფილებით“,—ასეთია რადიოს ცნობები.

აქ აღსანიშნავია ორი რამ: ბურჟუაზიის ზეიმი და სოციალ-დემოკრატიის სრული სოლიდარობა მასთან. დღეს მივიღეთ ცნობა, რომ სოციალ-დემოკრატები პროტესტს აცხადებენ საგარეო საქმეთა მინისტრად შტრეზემანის მოწვევის განზრახვის წინააღმდეგ. შტრეზემანი სახალხო პარტიის ლიდერია და ცნობილი რეაქციონერი. მაგრამ საქმე ხომ ამ შემთხვევაში კერძო პიროვნება არ არის. მთავარი ისაა, რომ სტინესის პარტია, რომლის მომხრეცაა კუნოც, უდგება ხელისუფლებას სათავეში.

მოსალოდნელია, რომ ბოლოს და ბოლოს შემთანხმებლებიც შევლენ ახალ კაბინეტში. კუნო სამისო მოლაპარაკებას უკვე აწარმოებს მათთან. სიმართლე რო ითქვას, რომ ისინი რომ არ შევიდნენ მთავრობაში, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ექნება. სოციალ-დემოკრატები ჩვეულებრივად დარჩებიან უწყინარ „ოპოზიციონერებად“. ეს იქნება ოპოზიცია არა „მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ“ არამედ „მისი უდიდებულესობის“.

ორივე შემთხვევაში რევოლიუციონურ პროლეტარიატს მმართებს თავის ძალების მობილიზაცია. გერმანიაში რეაქციის ახალი გამარჯვება, ბურჟუაზია-შემთანხმებლების ბლოკის წყალობით, დღეს უდავო ფაქტია. ფრთაშლილი რეაქცია, უკვე გადმოსული მუშათა კლასის წინააღმდეგ საერთო ეკონომიურ და პოლიტიკურ შეტევაზე, ყოველი საშუალებით შეეცდება რევოლიუციონურ პროლეტარიატის რიგების დაშლას, დეზორგანიზაციას, რათა მას გასაქანი არ მისცეს მოქმედებისათვის, ბრძოლისათვის. მით უფრო უნდა გააძლიეროს კომპარტიამ თავისი მუშაობა. ამისათვის ნიადაგი უფრო ნოყიერი იქნება. „სოციალისტების“ მოღალატეობის თავისთავად მღაღადებელი ფაქტები თვალს აუხელს პროლეტარიატის იმ ნაწილსაც, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ განთავისუფლებულა მათი გავლენისაგან. ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების მოძრაობა თანდათან ფართოვდება და ედება ფართე მშრომელ მასსებს. ამ მასსების უკმაყოფილება დღით-დღე იზრდება არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, აუტანელი სიძვირის, ბურჟუაზიის მიერ მუშათა ელემენტარულ ინტერესების და უფლებების ფეხქვეშ გათელვის ნიადაგზე. შექმნილი მდგომარეობა ჩვენმა პარტიამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს და გერმანიის პროლეტარიატს თავი მოუყაროს თავის დროშის ქვეშ შემომტევ ბურჟუაზიის წინააღმდეგ კონტრ შეტევის დასაწყებად.

ანრი ბარბიუსი ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ

„ყოველი წელიწადი, რომელიც გადის 1917 წლის ნოემბრის შემდეგ უფრო ღრმად და ნათლად აშუქებს რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობას. ეს რევოლიუცია არა მარტო სიცოცხლობს, არამედ უფრო და უფრო ამტკიცებს თავის ძლიერებას. იგი, რომელსაც ოდესღაც ცილს სწამებდენ მისი ნაბიჯების უაზრობისათვის, და რომელსაც ეხლაც სწამებენ ცილს მისი სიბრძნისათვის,—იგი განაგრძნობს თავის საქმის კეთებას, იგი სპობს გამოუსადეგარ ხელოვნურ ნახნავებს და ნიუანსებს და მეთოდიურად გაჰყავს ხაზი რევოლიუციონერებსა და კონტრრევოლიუციონერებს შორის. და ეს არ არის შემთხვევითი და გარდამავალი ან ადგილობრივი გავლენა კაცობრიობის შემეცნებაზე და ძმობის ორგანიზაციაზე, რომელმაც უნდა განახორციელოს დიადი იდეალი, რაც უკვე რუსეთში რეალობათ ითვლება,—რომელიც უნდა გახდეს უნივერსალურ სიმართლეთ. **რუსეთის რევოლიუცია გავრცელდება მთელ მსოფლიოზე.** დეე მთელი ქვეყნის გაყვლეფილებმა შეიგრძნონ ეს დღე, რომელსაც ჩვენ მეხუთეჯერ ვდღესასწაულობთ. ეს დღე არის თუმცა ძნელი და ტანჯვით აღსავსე, მაგრამ პროლეტარიატის ახალი ერას ბრწყინვალე და უძლეველი დასაწყისი“.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ფრანკის ფასის დაცემა. საფრანგეთში დიდ მღელვარებას იწვევს ფრანკის კურსის შეუჩერებელი დაცემა. ამის ერთად-ერთი მიზეზი მდგომარეობს გერმანიის ფინანსიური მდგომარეობის გაუარესებაში, რაც ამ ჟამად სპობს იმედს, რომ გერმანიის სარეპარაციო გადასახადი მისცემს საფრანგეთს შესაძლებლობას შეამციროს თავისი კოლოსალური დავალიანება. 1922—23 წლის ბიუჯეტი შედგენილია დეფიციტით 4 მილიარდი ფრანკის რაოდენობით, მაგრამ ეს დეფიციტი ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს შემოსავლისა და გასავლის ჩვეულებრივ ბიუჯეტს. უჩვეულო ფინანსიურ სიმძიმეს საფრანგეთისათვის წარმოადგენს მისი განსაკუთრებული **ხარჯები.** განსაკუთრებული ხარჯების დასაფარავად წყაროები საერთოდ არ მოიპოება და მიმდინარე წელს დეფიციტი ხარჯების ამ მუხლებისათვის აღწევს—28,000,000,000. ასე რომ 1922—23 წლებში ფაქტიური სახელმწიფო დეფიციტი გამოიხატება გრანდიოზული ციფრით—32,000,000,000 ფრანკი. ამას უნდა მიუმატოთ საფრანგეთის დიდი საგარეო დავალიანება—325,000,000,000 ფრანკი.

დანგრეულ ადგილების აღდგენისათვის და იმთან დაკავშირებულ მთელ რიგ სხვა ხარჯების დასაფარავად ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა გერმანიის სარეპერაციო გადასახადი. სანამ იყო იმედი, რომ ადრე თუ გვიან დაიწყებოდა ამ გადასახადის შემოსვლა, ისეთი ანომალია, როგორიც იყო დანგრეულ ადგილების აღდგენისათვის საჭირო ხარჯების საერთო ხარჯთ აღრიცხვაში შეუტანლობა ბევრს შესაძლებლად მიაჩნდა, მაგრამ ეხლა, როცა ყველანი ჩქარა გამოფხიზლდენ, ხდება ცვლილება საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობის სიმტკიცისადმი დამოკიდებულებაში. კიდევ უფრო სასტიკად იცვლება დამოკიდებულება საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობისადმი მსოფლიო ფულის ბაზრის მხრივ, რომელიც სისტემატიურად, ხოლო უკანასკნელ დროს საკმაო სისწრაფით ახდენს ფრანკის კურსის დაცემას. ამ რიგად, დოლარი, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში უდრიდა 10,80 ფრანკს, ეხლა ოქტომბრის დასასრულს უდრის უკვე 14 ნახ. ფრანკს, 1 გირ. სტერლინგი ზაფხულში საფრანგეთში ღირდა დაახლოვებით 48 ფრანკი, ეხლა კი 65 ფრანკს აღემატება. არის შესაძლებლობა, რომ ფრანკის ფასის დაცემა მომავალში უფრო კატასტროფიულ ხასიათს მიიღებს.

საფრანგეთი კვდება.

„Wirtschaft und statistik“ ცნობებით, საფრანგეთის მოსახლეობამ 1921 წელში კატასტროფიულად იკლო. ქორწინებისა და დაბადებულთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო. გარდაცვალებულთა რიცხვმა კი იმატა. ქვევით მოყვანილი ცხრილი ამის შესახებ იძლევა სრულ წარმოდგენას:

საფრანგეთის მცხოვრებთა ზრდა 1920—21 წლებში.

	1920	1921	მომატება თუ დაკლება 1920 წელთან შედარებით.
ქორწინება	683,869	456,221	—16,648
დაბადებულნი	834,411	813 396	—21,015
სიკვდილის შემთხვევა	674,621	696,373	+21,752
მცხოვრებთა ზრდა	159,700	211,023	—42,767

1920 წელში თვითეულ 10,000 მცხოვრებზე იყო აღრიცხული 348 ქორწინება. 1921 წელში კი მათი რიცხვი ეცემა 233-მდე. დაბადებულთა რიცხვი 1920 წელში 10,000 მცხოვრებზე მოდიოდა 213; 1921 წელში კი—207. სიკვდილის შემთხვევანი აღნიშნული ორი წლის განმავლობაში ავიდა 172-დან 177 მდე მაშინ როდესაც 1920 წელში მცხოვრებლებს თვითეულ 10,000 ზე ემატებოდა 41, 1921 წელში ის 30-ზე ჩამოდის. მცხოვრებთა საერთო ზრდიდან 16,884 სული მოდიოდა ელზას-ლოტარინგიაზე; ეს კი შეადგენს 14,4 პროც. დანარჩენ საფრანგეთზე მოდის ამ გვარათ 85,4 პროცენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ელზას ლოტარინგიის შემოერთებამ დადებითად იმოქმედა საფრანგეთის მცხოვრებთა ზრდაზე, რამაც იმატა წასულ წელთან შედარებით, თუმცა თვით ელზას-ლოტარინგიაში მცხოვრებთა ზრდამ წასულ წელთან შედარებით საგრძნობლად იკლო.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში შემდეგი საკითხი:

ამიერ-კავკასიის პარტიულ კონფერენციის შედეგები.

იაჩეიკების პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა მასალები უნდა მიიღონ ტფ. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: კახიანი.

კომინტერნის მეოთხე კონგრესი

მოსკოვი. 20 ნოემბ. კომინტერნის კონგრესის 17 ნოემბრის დილის სხდომაზე ებერლეინმა გააკეთა მოხსენება სამანდატო კომისიის სახელით. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კონგრესზე გამოცხადდა 392 დელეგატი და წარმოდგენილია 61 კომპარტია: გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის ჩეხო სლოვაკიის, ინგლისის, ამერიკის, უკრაინის, იაპონიის, სამხრეთ-სლავიის, ბულგარეთის, ფინეთის, ისპანიის, რუმინიის, შვეციის, ლატვიის, შვეიცარიის, ავსტრიის, ბელგიის, ჩინეთის, ინდოეთის, ირლანდიის, აზერბეიჯანის, საქართველოს, ლიტვის, ესტონეთის, დანიის, სპარსეთის, ანგორის ოსმალეთის, სტამბოლის ოსმალეთის, ავსტრალიის, არგენტინის, სამხრეთ აფრიკის, იავის, კანადის, პორტუგალიის, ჩილიის, ურაგვაის, მექსიკის, სომხეთის, ბრაზილიის, ხივასი, ბუხარასი, მონგოლეთის, კორეის, ისლანდიის, პალესტინის, ფიუმეს, ბელორუსიის, საბერძნეთის, ჰუნგრეთის, თურქესტანის, ყირიმის, მთიულეთის და ეგვიპტეს. გარდა ამისა სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას ღებულობენ ამერიკის მუშათა პარტიის და ამერიკის ზანგთა ორგანიზაციის წარმომადგენლნი, ქალთა ინტერნაციონალურ სეკრეტარიატის წარმომადგენელი და საერთაშორისო დამშეულთა დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელი.

კომინტერნის აღმასკომის მოწვევით ჩამოვიდა იტალიის სოციალისტურ პარტიის ხუთი დელეგატი და ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ოპოზიციის 8 წარმომადგენელი. კაშენი და ფროსარი, რომელნიც მოწვეულნი არიან საფრანგეთის საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, ჯერ არ ჩამოსულან.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ გრძელდება კამათი „კაპიტალის შემოტევის შესახებ“. ავსტრიის დელეგატი შტერნი ამბობს: „კაპიტალის შემოტევა არის ბურჟუაზიის უკანასკნელი ცდა კაპიტალისტური წესწყობილების გადასარჩენად ჟნევის ხელშეკრულების ძალით მსოფლიო ბურჟუაზიას სურს დახმარება გაუწიოს ავსტრიის ბურჟუაზიას. ავსტრიის მაგალითი ამტკიცებს, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას პატარა პარტიების მიერ“.

ინგლისის დელეგატი ვოზბი ამბობს, რომ კაპიტალის შემოტევას ინგლისში დახმარებას უწევს პროფმოძრაობის წინამძღოლთა ღალატი. ეს დამტკიცებულია მემაღაროეთა და მელითონეთა გაფიცვების დროს. ეხლა იწყობა შეტევა რკინისგზელთა წინააღმდეგ. საჭიროა კაპიტალის ერთიან ფრონტს დაუპირდაპიროთ საერთაშორისო მუშათა ფრონტი“.

გერმანიის დელეგაციის უმრავლესობის სახელით რენელე აცხადებს, რომ გერმანიის ოპოზიციის მუდმივი მერყეობა ერთიანი ფრონტის ჩატარების საქმეში, ასუსტებს პარტიის აქტივობას.

საფრანგეთის დელეგატი რონზერი აუწყებს კონგრესს ორი მუშათა დეპუტატის რიბაცკის და კრულიკოვსკის დაპატიმრების შესახებ, რომელნიც არჩეულნი იყვნენ პოლონეთის სეიმში. სეიმი ერთხმად იღებს საპროტესტო რეზოლიუციას, რომელშიაც შერცხვენა ეგზავნება პოლონეთის მთავრობას და გამოთქმულია აღფრთოვანება პოლონეთის პროლეტარიატის გმირობის გამო.

რადეკი საბოლოვო სიტყვაში ამბობს: „ლაპარაკია არა პროლეტარიატის კონტრ-შეტევის, არამედ პროლეტარულ პოზიციების დაცვის შესახებ. გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოძრაობა, საფრანგეთის პროლეტარიატის ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის, არის მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლა. სანამ ჩვენ ვართ დასავლეთის პროლეტარიატის სუსტი ნაწილი, ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ მოლაპარაკება სოციალ-დემოკრატიასთან, რომელიც მუდამ ღალატობს პროლეტარიატს, იქნებ ერთხელ მაინც უღალატოს ბურჟუაზიას. თუ მასების ზეგავლენით სოციალ-დემოკრატია კავშირს გასწყვეტს კოალიციონურ პოლიტიკასთან, ჩვენ მზადა ვართ ვაწარმოვოთ მათთან საერთო ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. კომუნისტებს არ შეუძლიათ იზრუნონ მხოლოდ უდანაშაულობის შესახებ, მათ უნდა აწარმოვონ ყოველდღიური მუშაობა.

მარჯვნიდან მოსალოდნელ საფრთხის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდენ ყველა რევოლიუციონური ძალები. ახლო მომავლისთვის ჩვენ მიერ დასახული მიზნები შეზღუდულია, მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ გვავიწყდება მომავლის პერსპექტივები“.

რადეკის სიტყვა დაჰფარა მხურვალე აპლოდისმენტმა.

— **კონგრესის სხდომაზე 18 ნოემბერს გერმანიის დელეგატი ტალჰეიმერი** გამოდის თანამომხსენებლად პროგრამმის საკითხის შესახებ და ჩერდება მე 2-ე ინტერნაციონალის სრულ გადაგვარებაზე. კაუცკი ჩამოქვეითდა ბერშტეინის თვალსაზრისამდე და აცხადებს, რომ იმპერიალიზმი გარდამავალი მოვლენაა კაპიტალიზმის ისტორიაში. ის შესაძლებლად სთვლის მისი მშვიდობიანი გზით განვითარებას და იმპერიალისტების მიერ შეიარაღებაზე უარის თქმას. ლიუქსემბურგმა დაამტკიცა, რომ შეუძლებელია იმპერიალიზმის მშვიდობიანი კაპიტალიზმით შეცვლა. იმპერიალიზმისაგან კაცობრიობის თავის დაღწევისათვის ერთად-ერთი საშუალებაა სოციალიზმი.

ტალჰეიმერი არ ეთანხმება ბუხარინს იმაში, რომ ნაწილობრივი მოთხოვნილებანი არ უნდა იქნეს შეტანილი პროგრამაში. გარდამავალი ხანა რევოლიუციის დაწყებამდე მეტად მნიშვნელოვანია. პროგრამიდან ნაწილობრივ მოთხოვნილებათა გამორიცხვა პრინციპიალურად სავსებით დასაშვებია. საჭიროა მხოლოდ მისი თეორიული გაშუქება. უნდა გამოთქმულ იქნეს პრინციპიალური თვალსაზრისი წარმოებაზე კონტროლის დაწესების, საგადასახადო პოლიტიკის და სხვა საკითხების შესახებ.

მესამე მოხსენებელი პროგრამის საკითხის შესახებ ბოლგარიის დელეგატი კაბაჩევი მხარს უჭერს მაქსიმუმი პროგრამის გამომუშავებას, რომელიც საბოლოოდ განსაზღვავრს პრინციპიალურ, ნაწილობრივ მოთხოვნილებებს. კაპიტალიზმის კრიზისი იმდენად ღრმა, რომ საჭიროა მუდმივად ხელთ გვქონდეს პროგრამა მაქსიმუმი. რ. კ. პ. პროგრამა შესაფერი საფუძველია კომინტერნის პროგრამის შესამუშავებლად. ის მხოლოდ უნდა შეეფარდოს ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების პირობებს.

შემდეგ სხდომაზე ლოზოვსკი გააკეთებს მოხსენებას პროფმოძრაობის საკითხის შესახებ.

რადიო-დეპეშები

მუსოლინის განცხადება

პარიზი. 20 ნოემბ. **მუსოლინმა განაცხადა, რომ ის მომხრეა რუსეთის მონაწილეობისა ყველა კონფერენციებზე.**

ლოზანას კონფერენცია

პოლონეთის მოთხოვნილება.

ჰანოვერი. 18 ნოემბერი. პოლონეთის მთავრობამ განაცხადა პარიზში, ლონდონში და რომში მოთხოვნილება, ლოზანას კონფერენციაზე მისი დაშვების შესახებ.

წინასწარი თათბირი.

ჰანოვერი. 18 ნოემბერი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ თათბირი პუანკარეს, კერზონისა და მუსოლინის შორის მოხდება ლოზანაში ორშაბათს დილით.

ლოზანაში.

ბორდო. 18 ნოემბერი. ლოზანაში ჩამოვიდა გამილ-ბეი.

პარიზი. 18 ნოემბერი. ისმეტ საღამოს გაემგზავრა ლოზანაში.

ნეიტრალური სახელმწიფოები და ოსმალეთი.

პარიზი. 18 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით მრავალ ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მეტად დაინტერესებულნი არიან საკითხით ოსმალეთის კაპიტულიაციის შესახებ და მოითხოვენ ამ საკითხის შესახებ საქმის შინაარსის მათთვის გაცნობას და ლოზანის კონფერენციაზე სათანადო მომენტში მათი აზრის მოსმენას.

ახლო აღმოსავლეთის ამბები

ანგორის მთავრობის მოქმედება

მოსკოვი. 20 ნოემბერი. ანგორის მთავრობამ გადააყენა საზღვარ გარეთ მყოფი სტამბოლის მთავრობის ყველა წარმომადგენლები, ლონდონში მყოფ წარმომადგენლის გამოკლებით.

სტამბოლში ოსმალეთის პრეს ბიურო გადავიდა ანგორის ტელეგრაფთა სააგენტოს ხელში.

ოსმალეთის სოციალისტთა ლიდერის მოკვლა

ჰანოვერი. 20 ნოემბერი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მოკლულია ოსმალეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი გუსეინ-ხალილ-ბეი.

დჟებელის დაპყრობა

ბორდო. 20 ნოემბერი. რომიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იტალიის ჯარებმა დაიკავეს დჟებელის მთელი რაიონი ტრიპოლში.

კონფერენციის გახსნა

ჰანოვერი. 19 ნოემბერი. ლოზანის კონფერენცია გაიხსნება ორშაბათს შვეიცარიის რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით.

ოსმალეთის ახალი ხალიფი

ბორდო. 20 ნოემბერი. კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 8 სხდომა მოანდომა საკითხს ხალიფატის შესახებ. დასასრულ ხალიფათ არჩეულ იქმნა ტახტის მემკვიდრე პრინცი აბდულ მეჯიდი.

პარიზი. 20 ნოემბერი. ახალ ხალიფს პრინც აბდულ მეჯიდის დიდი პატივის ცემით ეპყრობიან ოსმალეთის და უცხოეთის ყველა წრეები. ის თავიდანვე ნაციონალისტური მოძრაობის მომხრე იყო. მილოცვების პასუხის გაცემის დროს აბდულ მეჯიდიმ განაცხადა, რომ ის ღრმად არის დარწმუნებული ოსმალეთის განთავისუფლებაში და კეთილდღეობაში.

სულთანის მინისტრების გაქცევა.

რომი, 20 ნოემბერი. „ჟურნალ“-ის კონსტანტინეპოლის კორესპონდენტი იტყობინება, რომ საღამოს 18 ნოემბერს შეიხ ულ ისლამი და განათლების მინისტრი ინგლისელების მფარველობის ქვეშ გაემგზავრენ ინდოეთში, რათა გადასცენ ინდოეთის მუსლიმანებს სულთანის წერილი, რომელშიაც გამოთქმულია პროტესტი ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების დადგენილების გამო და რომელიც მოუწოდებს მათ შესძლონ ყველაფერი რასაც ურჩევს შეიხ-ულ-ისლამი.

გერმანიის ამბები

კუნოს მიერ უარის თქმა.

ჰანოვერი. 19 ნოემბერი. პრეზიდენტ ებერტისადმი წერილში კუნო აცხადებს, რომ უნაყოფოა მისი ცდა პარტიებთან შეთანხმების და კაბინეტის შედგენის საკითხში. ამასთანავე კუნო სთხოვს მას გაანთავისუფლოს იგი პრემიერის თანამდებობიდან. პრემიერმა ებერტმა ამ წერილის საპასუხოდ მიანდო კუნოს კაბინეტის შედგენა პარტიებთან შეთანხმების გარეშე.

ახალი კაბინეტი გერმანიაში.

მოსკოვი. 20 ნოემ. ებერტმა ახალი მთავრობის შედგენა მიანდო გამბურგ-ამერიკის სანაოსნო კომპანიის დირექტორს კუნოს, რომელიც ახლო სდგას სახალხო პარტიასთან. დადის ხმები გარეშე საქმეთა მინისტრად შტრეზემანის დანიშვნის შესახებ, მიუხედავათ სოციალ-დემოკრატების პროტესტისა სამინისტრო პორთფელების სახალხო პარტიის წევრებისათვის გადაცემის წინააღმდეგ.

კუნო შეუდგა მოლაპარაკებას პარტიების ხელმძღვანელებთან. ის ცდილობს შეადგინოს საქმიანი კაბინეტი რეიხსტაგში არსებულ პარტიულ ძალთა განწყობილების ნიადაგზე.

კუნოსთან მოლაპარაკებით გამოირკვა, რომ უკანასკნელი დიდ მნიშვნელობას აძლევს მთავრობაში სოციალ დემოკრატების მონაწილეობას.

დრეზდენში.

ბორდო. 20 ნოემ. დრეზდენში გაფიცვები გამოცხადდა და დაიწყო არეულობა.

კაბინეტის კრიზისის გამო.

ბორდო. 20 ნოემ. **კუნომ დროებით უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე, ვინაიდან სოციალისტებს არ სურთ სახალხო პარტიასთან თანამშრომლობა.**

ჰანოვერი. 20 ნოემ. კაბინეტის შედგენის საკითხი შემდეგ მდგომარეობაშია სოციალ-დემოკრატები უარს ამბობენ ფართო კოალიციის შექმნაზე, და უარყოფენ პროექტს იმ მთავრობისათვის არაოფიციალური მხარის დაჭერის შესახებ, რომელიც მოეწყო ფართო კოალიციის გარეშე; ცენტრს არა სურს მხარი დაუჭიროს ფართო კოალიციის შექმნის იდეას.

ჰანოვერი. 20 ნოემბ. გაზ. „ალგემაინე ცეიტუნგი“ ფიქრობს, რომ ამ ჟამად უმთავრეს ამოცანად ითვლება ისეთი ადამიანის გამონახვა, რომელიც იქნებოდა საერთო ნდობით აღჭურვილი და რომელსაც შეეძლებოდა სასწრაფოდ მთავრობის სათავეში დადგომა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში სიმშილი და ანტანტა დაახრჩობდენ გერმანიას.

მარკის სტაბილიზაციის შესახებ.

მოსკოვი. 18 ნოემბერი. საფრანგეთის პრესის კომენტარიები გერმანიის ნოტის შესახებ, რომელიც შეეხება მარკის სტაბილიზაციას, საერთოდ ვერ არის სანუგეშო.

ინგლისის პარლამენტის არჩევნები

მოსკოვი. 20 ნოემბერი. ლონდონიდან 16 ნოემბრის თარიღით იტყობინებიან: „ამ ჟამად არჩეულნი არიან კონსერვატორები 319, ნაციონალ ლიბერალები—39, დამოუკიდებელ ლიბერალები—50, მუშათა პარტიიდან—128. ჯერ კიდევ არ არის არჩეული 77 კანდიდატი. ფიქრობენ რომ მუშათა პარტია მიიღებს 150-ზე მეტ ადგილს, თითქმის ორჯერ მეტს ვიდრე ლიბერალების ორივე ფრაქცია. ახალ პარლამენტში მუშათა პარტია უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ძველში, განსაკუთრებული გამარჯვება მუშათა პარტიამ მოიპოვა ლანკშირში, იორკშირში, გლაზგოში და სხვა სამრეწველო ცენტრებში, ნიუმილტი, რომლის კანდიდატურა წამოყენებულია კომუნისტურ პარტიის მიერ და (გვარი არ არის გარკვეული), რომლის კანდიდატურა წამოყენებულია მუშათა პარტიის მიერ გავიდნენ ხმის დიდი უმრავლესობით. არჩეულნი არიან მუშათა პარტიის ლიდერები: კლაინსი, ვეჯვუტი და ბაუერმანი. დამოუკიდებელ მუშათა პარტიიდან არჩეულია მაკდონალდი, გენდერსონი გააშავეს“.

ლონდონიდან 17 ნოემბრის თარიღით იტყობინებიან: „ჯერ-ჯერობით კონსერვატორებმა მიიღეს 345 ადგილი, ნაციონალ ლიბერალებმა—44, დამოუკიდებელმა ლიბერალებმა—64, მუშათა პარტიამ—142, უპარტიოებმა—9. არ არის მიღებული ცნობები 10 ამომრჩევ ოლქიდან.

ბონარ ლოუს მთავრობა უზრუნველყოფილია ხმების აბსოლიუტური უმრავლესობით. კომუნისტებმა მიიღეს 52 000 ხმა, დემოკრატიულ კონტროლის კავშირმა და რადიკალურ პაციფისტურ ორგანიზაციამ, რომელიც ილაშქრებდა ომის წინააღმდეგ, მთლიანად გაიყვანეს პარლამენტში თავიანთი კომიტეტები“.

გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ ჩერჩილმა, გაიგო რა თავის დამარცხება, იმდენად აღელდა, რომ ტირილი დაიწყო.

შორეულ აღმოსავლეთში

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის მისალმება შორეულ აღმოსავლეთის რევკომისადმი

მოსკოვი. 20 ნოემ. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა გაუგზავნა შორეულ-აღმოსავლეთის რევკომის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა: „სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა მიიღო ცნობად სახალხო კრების დადგენილება მისი დაშლისა და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ. სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასკომმა სიხარულით მოისმინა შორეულ-აღმოსავლეთის მშრომელთა სურვილი, რომლებმაც თავი დააღწიეს თეთრ გვარდიელთა ბატონობას. აცხადებს რა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკას და უცხოეთის ჯარების მიერ დაკავებულ ზონას საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომი ამტკიცებს შორეულ-აღმოსავლეთში შემდგარ რევკომს შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე კობოზევი და წევრები იანსონი, კუბარევიჩი, კორნეევი, მატვეევი და პოსტიშევი“.

სხვადასხვა ამბები

ჩინეთის კაბინეტის გადადგომა.

პარიზი. 20 ნოემბერი. ჩინეთის კაბინეტი გადადგა.

რუსეთი და პოლონეთი:

მოსკოვი. 20 ნოემბერი. **„კურიერ პორანი“ ფიქრობს, რომ ინციდენტი იზოლენსკისთან დამთავრდება ამ კვირაში. გაზეთის ცნობით პოლონეთის წარმომადგენელი მოსკოვში კნოლლი დაბრუნდება 21 ნოემბერს მოსკოვში.**

იტალია და რუსეთი

მოსკოვი. 20 ნოემბერი. პარლამენტში წარმოსთქმულ პროგრამულ სიტყვაში მუსოლინმა განაცხადა: „იტალია ფიქრობს, რომ დადგა დრო, როდესაც რეალურ ინტერესთა თვალსაზრისით, გაშინჯული უნდა იქნეს ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან, მიუხედავად მისი შინაური საქმეებისა, რომლებშიდაც ჩვენ როგორც მთავრობას, არ გვსურს ჩავერიოთ.

სარეპარაციო კომისიაში.

მოსკოვი. 18 ნოემბ. სარეპარაციო კომისიაში მიღებულ გერმანიის მთავრობის ახალ ნოტაში ნათქვამია შემდეგი: „რეიხსბანკი თანახმაა მისცეს მთავრობას 500 მილიონი მარკა ოქროთ მარკის სტაბილიზაციის მიზნით, მაგრამ იმ პირობით თუ გერმანია სამი ოთხი წლის განმავლობაში განთავისუფლებულ იქნება ყოველგვარ გადასახადისაგან, როგორც ნაღდი ფულის, ისე ნატურის სახით. განადგურებულ ოლქების აღსადგენად მასალის მიწოდება გაგრძელდება, რამდენადაც უცხოელ ბანკებს მიეცემათ გერმანიის სესხის გარანტია. გერმანია მოითხოვს მის ვალდებულებათა რაოდენობის საბოლოოდ გამორკვევას და ექსპერტების საერთაშორისო თათბირის მოწვევას. თუ ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება გერმანია პირობას იძლევა, რომ ის გაატარებს ოქროს საშინაო სესხს და გამოიყენებს საგარეო სესხს ვერსალის ხელშეკრულების მიერ დაკისრებულ ვალდებულებათა შესასრულებლად. ამ გვარად გერმანიას იმედი აქვს მოაწესრიგოს თავისი ბიუჯეტი.

ვილსონი.

მოსკოვი. 18 ნოემბერი. ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებით, ვილსონს განზრახვა აქვს დაუბრუნდეს პოლიტიკურ მოღვაწეობას.

ფაშისტები რუმინიაში.

მოსკოვი. 18 ნოემბ. რუმინიაში ფეხს იკიდებს ფაშისტური მოძრაობა. ორგანიზაცია გადმოღებულია იტალიურიდან.

ინგლისი

კერზონის ოპტიმიზმი

პარიზი. 18 ნოემბერი. კერზონი ჩავიდა პარიზში და გაიგო რა დეპუტატთა პალატის ვოტუმის შესახებ, განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ის სიამოვნებით ულოცავს პუანკარეს სრულს გამარჯვებას. ინგლისსა და საფრანგეთს შორის არსებულ სადავო საკითხების შესახებ კერზონმა განაცხადა: „მე ყოველთვის ვიყავი ოპტიმისტი და ეხლა ოპტიმიზმი მეტი, ვინემ ოდესმე იყო, ამაში შეგვიძლიათ დამერწმუნოთ“.

თემთა პალატის გახსნა

კროიდონი. 20 ნოემ. სამშაბათს, თემთა პალატაში გამოვა სიტყვით კაროლი. მანამდე კი მოხდება თავმჯდომარეს (პალატის სპიკერის) არჩევა და პალატის წევრები გააწესრიგებენ თავიანთ ადგილებს.

როდზიანკოს მემუარები

მემუარების წერა დღეს მოდათ შეიქნა განსაკუთრებით საზღვარგარეთ გადახიზნულ ემიგრანტების მიერ. ამ საქმეს ეტანებიან და „ისტორიას ჩვენებას აძლევენ“ ისინი, ვინც აქტიურათ მონაწილეობას იღებდნენ რევოლიუციაში მის წინა დღეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ან ვინც ძალაუნებურათ მოწამენი შეიქნენ ამ ამბების. მათ რიცხვს ეკუთვნის სხვათა შორის სახელმწიფო დუმის ყოფილი თავმჯდომარე როდზიანკო, რომლის მემუარები დაბეჭდილია ჰესსენის „რუსეთის რევოლიუციის არქივში“. ჩვენ ხელთ არა გვაქვს ეს გამოცემა, მაგრამ რამოდენიმე საყურადღებო ადგილები მემუარებიდან მოყვანილია უცხოეთის გაზეთებში, რომლებიც ჩვენ განკარგულებაში არიან დღეს.

ჩვენ მკითხველებს ეხსომებათ შორეულ, მაგრამ ახლო წარსულიდან, ის ალიაქოთი, რომელიც ასტეხეს ბოლშევიკების წინააღმდეგ ყველა ნაციონალისტურმა და შოვინისტურმა გაზეთებმა, პარტიებმა, ჯგუფებმა და მოღვაწეებმა, მათთან ერთად აგრეთვე ყველა მემარჯვენე სოციალისტებმა: მენშევიკებმა და ესერებმა იმის შესახებ, რომ მათ (ბოლშევიკებმა) დაარღვიეს ძველი რუსეთის ჯარი, შეიტანეს განხეთქილება მის რიგებში, მოსპეს იქ დისციპლინა და ამ ნაირათ ხელი შეუწყვეს რუსეთის დამარცხებასო. ჩვენ, რევოლიუციონერები, არასოდეს უარს არ ვამბობდით იმაზე, რომ ჩვენი მიზანი იყო ძველი არმიის დაშლა, ამ არმიის რომელზეც დაყრდნობილი იყო დრომოჭმული წესწყობილება მონარქიის და რომელიც ბრმა იარაღათ იყო გადაქცეული რუსეთის ბურჟუაზიისა და მემამულეების ხელში იმპერიალისტური ომის საწარმოებლათ და ხალხთა ხოცვა ჟლეტის გასაგრძელებლათ. მაგრამ ჩვენ იმასაც ვამბობდით, რომ თვით ასეთმა ხასიათმა „ძველი რეჟიმის“ და წარსული იმპერიალისტური ომის შექმნეს პირობები ამ დაშლის და არმიის დარღვევის.

საინტერესოა რას სწერს ამის შესახებ თვით როდზიანკო თავის მემუარებში.

„არმია იბრძოდა თითქმის ცარიელი ხელებით. ჩემი ფრონტზე ყოფნის დროს, 1915 წლის გაზაფხულზე, მე ვიყავი მოწამე იმის, რომ შემოსულ მტერს ჯარი ქვებით იგერიებდა. წინადადება იყო შემოსული ცულებით შეგვეიარაღებია ის“. „1915—16 წლებში ტყვეთ გადასული ჯარის რიცხვი აღწევდა ორ მილიონს; მოეხსნა ფრონტს, როგორც დეზერტირები, მილიონ ნახევარი კაცი“.

როდზიანკოს გადმოცემით პეტერბურგში ჩავიდა ოფიცრების ერთი ჯგუფი **უკვე გადატრიალებამდე**, რომელიც აცხადებდა: „არმია იშლება და დისციპლინას მოელის სრულიად დაცემის საფრთხე. ნაწილებში სულისკვეთება სულ უფრო და უფრო საშიშ სახეს იღებს და ადვილათ შესაძლებელია, რომ სალდათები ამ ზამთარშივე თავს მიანებებენ სანგრებს და მოსცილდებიან ბრძოლის ველს“ ო.

მრავალი მაგალითებით, როდზიანკო ადასტურებს, რომ ასეთი იყო მდგომარეობა და ისიც გადატრიალებამდე.

საყურადღებოა მეორე გარემოებაც. ომის წაგებისა და ისეთი ზავის დადებისათვის, როგორიც იყო ბრესტის, მთელ ბრალდებას ბოლშევიკებს უყენებდნენ. არ დაგიდევდნენ გაერჩიათ ის პირობები, რომლებმაც მიიყვანა რუსეთი დამარცხებამდე და ასეთ ზავამდე. ამ საკითხის შეხებაც როდზიანკო გამოსთქვამს საგულისხმო აზრს: ის სწერს.

„მე დაბეჯითებით ვამბობ, კიდევაც რომ არ მომხდარიყო რევოლიუცია, ომი მაინც წაგებული იქნებოდა და დაიდებოდა ალბათ სეპარატიული ზავი, შეიძლება არა ბრესტ-ლიტოვსკში, არამედ სადმე, სხვა ადგილას, მაგრამ კიდევ უფრო სამარცხვინო, რადგან შედეგად მოჰყვებოდა მას გერმანიის სრული ეკონომიური ბატონობა რუსეთში“.

მუშათა საერთაშორისო 5% სესხი

სექტემბრის ბოლო რიცხვებში საბჭოთა რუსეთისათვის საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტთან ბერლინში დაარსდა ვაჭრობა-მრეწველობის სააქციონერო საზოგადოება, რომლის ძირითადი თანხა უდრის 1 000 000 გერმანულ მარკას. ამ საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში შედიან: ამხ. კრუიტი (ჰოლანდია)—შუა ევროპის წარმომადგენელი, ამხ. ანდერსენ ნექსე (ცნობილი შვედელი მწერალი)—სკანდინავიის წარმომადგენლი, ამხ. მიზიანო—რომანული ქვეყნებიდან და ამხ. პოინცი—ამერიკიდან და ინგლისიდან და მის კოლონიებიდან. საზოგადოების თავმჯდომარედ ითვლება ამხ. მიუნცენბერგი—გენერალური მდივანი საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტისა.

საზოგადოების უმთავრეს მიზანს შეადგენს საბჭოთა რუსეთისათვის წარმოო დახმარება. საზოგადოება ამ ჟამად განაგებს თევზის წარმოებას ასტრახანში, რამოდენიმე საბჭოთა მეურნეობას მოსკოვის, კაზანის და პერმის მახლობლად, ფეხსაცმელების ფაბრიკას მოსკოვში, მექანიურ სახელოსნოებს პეტროგრადში და სხვა წარმოებებს...

ბურჟუაზიულ სააქციონერო საზოგადოებათაგან ის განსხვავდება მით, რომ წესდება გულისხმობს გამგეობის წევრების პირად გამდიდრების ყოველგვარ შეუძლებლობას. მთელი მოგება ხმარდება მარტო საზოგადოების საწარმოო საქმიანობის შემდეგ გაფართოებას.

ამ ჟამად, საზოგადოება ეწევა საერთაშორისო მუშათა სესხის ხუთ პროცენტიან ობლიგაციების გავრცელებას, რომელიც გამოშვებულია 1 მილიონ. თითო დოლარად ღირებული, სულ 1 მილიონ დოლარის. პროცენტების გადახდა დაიწყება 1923 წლის 1 იანვრიდან; მთელი სესხი პროცენტებიანად დაფარული იქნება 1933 წ. 1 ივნვრისათვის.

როგორც პროცენტების გადახდა, ისე სესხის დაფარვა სრულ ღირებულებიან ოქროს ვალიუტით (დოლარებით) უზრუნველყოფილია 1922 წ. 28 სექტემბრის თარიღით გამოცემულ საბჭოთა სახალხო კომისართა დეკრეტით.

რომ სესხზე ხელის მოწერა გაუადვილდეს დაბალი ვალიუტის მქონე ქვეყნების მუშებს და ორგანიზაციებს, ამ მიზნით გამოშვებულია ხელის მოსაწერი ფურცლები, რომელშიდაც ინიშნება თვითეული შემოტანილი თანხა (ჩაწერით ან განსაკუთრებული მარკის დაკვრით), სანამ საერთო ჯამი არ შეადგენს ერთ დოლარს, რის შემდეგაც ხელის მომწერს ეძლევა სესხის ობლიგაცია. ყოველ წლიურად მისაღებ სარგებლის კუპონების მქონე ობლიგაციები ამ ჟამად მზადდება. ჯერ-ჯერობით კი გამოშვებულია ასეთ ობლიგაციების ნაცვლად განსაკუთრებული დროებითი ნიშნები, რომელნიც შემდეგში გადიცვლებიან ნამდვილ კუპონიან ობლიგაციებზე. ამ დროებითი ობლიგაციაზე, ხელის მოსაწერ ფურცლებზე და მარკებზე დასმულია რ. ს. ს. ფ. რ. ნიშანი.

დამხმარე კომიტეტი თავის მოწოდებაში სესხზე ხელის მოწერის შესახებ, აძლევს წინადადებას საბჭოთა რუსეთის კეთილმოსურნე მუშებს, ობლიგაციების მქონეთ, რათა პირველ წლებში თავი შეიკავონ კუპონებით სარგებლის გატანისაგან, რომ ეს თანხები მოხმარდეს მუშათა საერთაშორისო დამხმარე კომიტეტის ბავშთა სახლებს რუსეთში.

აღსანიშნავია ის მტრული განწყობილება, რომელსაც იჩენს ბურჟუზია და ყვითელი სოციალისტური პრესა მუშათა სესხის მიმართ. იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიული პრესა სდუმს სესხის შესახებ, გერმანიის მეუმრავლესეთა ზოგიერთი გაზეთები (როგორც მაგალ. „გამმბურგის ეხო“), აშკარად ილაშქრებენ სესხზე ხელის მოწერის წინააღმდეგ და უწოდებენ მას „თავხედურ გამოწვევას“ (?!) პროლეტარიატისთვის. ეს იწერებოდა მიუხედავად იმ კეთილგანწყობილებითი დამოკიდებულებისა, რომელსაც იჩენდა შეიდემანელების ორგანო „ფორვერტსი“ რუსეთისადმი საწარმოო დახმარების საქმეში.

ქვეყნის ყველა კუთხიდან (სადაც კი არსებობენ საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტის განყოფილებანი) მოსული ცნობებიდან ირკვევა, რომ წინასწარი ხელისმოწერა მეტად სასურველად მიმდინარეობს და თანხა 1,000,000 დოლარი ჩქარა იქნება დაფარული. ხელის მოწერის ინტერესი ემჩნევა არა მარტო ევროპას და ამერიკას მუშათა მასებს, არამედ მცხოვრებთა წვრილ ბურჟუაზიულ ნაწილებსაც (განსაკუთრებით საფრანგეთში). ამგვარად ეს სესხი წარმოადგენს პირველ ცდას და მის შემდეგ გამოიცემა მეორე სესხი.

ამხ. მიშა მუზაშვილი

ამხ. მიშა არ იყო კომპარტიის წევრი, არ იყო ძველი რევოლიუციონერი. ამხ. მიშა იყო უპარტიო ახალგაზრდა და ახალ გაზრდული სიცოცხლით სავსე, რომლის გრძნობაც ფაქიზი და სუფთა იყო, როგორც სარკე. ამხ. მიშა შეუპოვრათ ებრძოდა მუშურ-გლეხურ მთავრობის ყველა მტრებს, და ამ გმირულ ბრძოლაში დალია მან სიცოცხლე. მარა ვიდრე დავახასიათებდე ამხ. მიშას დაღუპვას, საჭიროა მოკლეთ შევეხო მის პიროვნებას, ვინ იყო ამხ. მიშა? ამხ. მიშა იყო ეროვნებით ოსი, მდგომარეობით გლეხი, თუმცა მისი მშობლები სცხოვრობენ თბილისში. წლოვანობით 26 წლის. ამხ. მიშა თბილისიდან დუშეთის მაზრაში გამოგზავნა სამუშაოდ მილიციაში, როგორც კარგი და ერთგული ადმინისტრატორი, რესპუბლიკის მილიციის სამმართველომ. დუშეთის მაზრაში ამხ. მიშა მოსვლისთანავე დაინიშნა მუხრანის რაიმილიციის უფროსათ, სადაც დარჩა პირველ ივნისამდე შემდეგ კი, როგორც ენერგიული და შეუპოვარი მებრძოლი, გადაყვანილ იქნა სამაზრო მილიციაში, მაზრის მილიციის მარქაფა რაზმის უფროსის თანამდებობაზედ. ჯერ იყო და ამხ. მიშა გააფრთხებით ებრძოდა ყაჩაღებს მუხრანის რაიონში და როცა ის ჩაუდგა მაზრის მარქაფა მილიციას სათავეში, ბრძოლა ბანდიტებთან ერთი ათად გააძლიერა. 27 აგვისტოს, ამხ მიშა იყო სხვა მილიციელებთან ერთად სოფ. თვალივში იქ ის თავის რაზმით გაგზავნილი იქნა დუშეთიდან. 25 აგვისტოს ამხ. მიშა ძლიერ დაქანცული იყო. მასთან ბევრი სიარულით ფეხსაცმელები მთლათ გაცვეთილიყო და ძლიერაც კოჭლობდა. მე წინადადება მივეცი წასულიყო დუშეთში, მარა ამხ. მიშამ, რკინის დისციპლინის მოყვარემ არ შეასრულა ჩვენი წინადადება და თვალივიდან ათი ვერსის მოშორებით, სოფ. მაღაროსთან თითქმის ფეხშიშველი, კოჭლობით ამოვიდა და, როგორც ლომი, შეება ნაძირალებს, ბანდიტებს. მისმა გამბედაობამ გაკვირვებაში მოგვიყვანა. დაუნდობელმა ტყვიამ ამხ. მიშა მუზაშვილს გაუგმირა გახურებულ ბრძოლაში გაოფლიანებული შუბლი. გმირულათ მებრძოლი ამხ. მიშას ვინტოვკა ჩაჩუმდა. ამხ. მუზაშვილი დაიღუპა მშრომელი ხალხის მტრებთან ბრძოლაში. და ეს ხალხი მას არ დაივიწყებს.

გ. ლაფანაშვილი.

ქრონიკა

სააღმწერო რაიონების ხელმძღვანელთა, კონტროლიორების და აღმწერლების საყურადღებოდ.

21 ნოემბერს დილის 10 საათზე ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში შესდგება საერთო კრება ყველა ქალაქის აღწერაში მომუშავეთა ვინც არ გამოცხადდება აღნიშნულ დროზე სამუშაოზე არ დაიშვება. 22 ნოემბერს საღამოს 6 საათ. მიეცემა სათანადო ინსტრუქციები კონტროლიორებს და აღმწერლებს თავიანთ რაიონების მიხედვით (მისამართი სარაიონო ბიუროების და სიები რაიონზე მომუშავეთა მიწერილთ გამოცხადებული იქნება ცალკე). 30 ნოემბერს დილის 8 საათიდან სარაიონო ხელმძღვანელები ანაწილებენ მომუშავეებს უბნების მიხედვით და აძლევენ მათ ყველა საჭირო მასალას სახელდობრ: უბნების გეგმას თითო აღმწერელს 400 ეკზემპ. საპირადო ფურცელს, საბინაო ფურცლებს (ხუთ საპირადო ფურცელზე ერთ საბინაო ფურცელს). სახლკარის ფურცლებს (ოც საბინაო ფურცელზე ერთ სახლკარის ფურცელს) და ინსტრუქციებს. აღმწერლები ყოველ დილას მუშაობის დაწყებამდე უნდა გამოცხადდენ ხელმძღვანელთან სარეგისტრაციოთ. სააღმწერო შტატის ინსტრუქციებთან გაცნობა გრძელდება 27 ნოემბრამდე ჩათვლით. ინსტრუქციების მისაღებ დღეს ნიშნავს სარაიონო ხელმძღვანელი. 28 ნოემბერს საღამოს 6 საათზე დანიშნულია საერთო კრება ყველა რაიონების ხელმძღვანელთა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში (ბროსსეს ქ. № 4.) 29 ნოემბერს დანიშნულია შეერთებული კრება ხელმძღვანელების, კონტროლიორების და აღმწერლების (კრების ადგილი და საათი გამოცხადებული იქნება ცალკე)

სახალხო სასურსათო კომისარიატში.

— **სასურსათო გადასახადი. კიდევ 100 პროცენტი. როგორც სახალხო სასურსათო კომისარიატს დეპეშით ატყობინებენ, ახალქალაქის მაზრამაც ჩააბარა მთელი 100 პროცენტი მასზე შეწერილი გადასახადისა.**

— **აბრეშუმის პარკის ოპერაცია.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაადგინა, რომ მეაბრეშუმეებს, რომელთაგანაც 1921 წლის მოსავლის აბრეშუმის პარკი მიიღო, მისცეს დივიდენდი და დამატებითი ღირებულება ამ პარკისა. მისაცემ ფულის რაოდენობა განისაზღვრულია 20 არშინი საგლეხო ფართლეულის ფასით თვითეულ ფუთ ნედლ პარკზე. ამ ღირებულების 50 პროცენტი მეაბრეშუმეთ დაუყოვნებლივ მიეცემათ ნატურით, ანუ 10 არშინი ფართლეული თვითეულ ჩაბარებულ ფუთ პარკზე, მეორე 50 პროც. კი მიეცემათ ფულად—ფუთზე 250,000 მან.

— **შტატის გადათვალიერება.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა საგანგებო კომისია შეადგინა პირველ სამანუფაქტურო მაღაზიის შტატის გადასათვალიერებლად და ამ მაღაზიის ოპერაციების გაფართოების პროექტის შესამუშავებლად.

ქალაქის აღმასკომში.

— **ჯამაგირები აღმასკომის მოსამსახურეებს.** 1 ნოემბრიდან აღმასკომის ყველა თანამშრომლებს, თანახმად აღმასკომის დადგენილებისა, ჯამაგირები მიეცემათ არსებულ დადგენილებების თანახმად შემდეგის სახით: 1) პრეზიდიუმის წევრებს და მდივანს და ადგილკომის წევრებს, რომლებიც მუდმივად და მხოლოდ ადგილკომებში ეწევიან მუშაობას—პასუხისმგებელ თანამშრომელთა ტარიფის მიხედვით, თანახმად სახ. კომ. საბჭოს დად. № 53; 2) ინდივიდუალური ტარიფები, თანახმად პრეზიდიუმის 31 ოქტომბრის დადგენილებისა მიეცემათ კვალიფიკაციურ თანამშრომლებს, რომელთა საკვალიფიკაციო უწყება დამტკიცებული იქნება პრეზიდიუმის მიერ; 3) აღმასკომის ყველა დანარჩენ თანამშრომლებს მიეცემათ ჯამაგირები კოლექტიური ხელშეკრულების თანახმად, 17 ხარისხიან სატარიფო ცხრილის მიხედვით. დროებით გამონაკლისს შეადგენენ ს. პ. კ. ს. მიერ მივლინებულ საბინაო განყოფილების თანამშრომლები, რომლებიც ღებულობენ ჯამაგირებს საქ. პროფკავშირის საბჭოს შეთანხმებით. ყველა დანარჩენი დღემდე არსებული ინდივიდუალური ჯამაგირები გაუქმებულია.

— **ზედმეტი საათების მუშაობის აკრძალვა.** აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით ყველა განყოფილებებში შეწყდა ზედმეტი საათების მუშაობა თანახმად შრომის კომისარიატის 30 აგვისტოს თარიღით გამოცემული დადგენილებისა, გამონაკლის შემთხვევების გარდა.

— **მუშტაიდის წყალის პუნქტის ზედამხედველის დანიშვნა.** მუშტაიდის წყლის პუნქტის ზედამხედველად დაინიშნა ბეჟიდინი, რომელიც ვალდებულია მდინარე მტკვარის ყოველგვარ ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს აღმასკომს.

— **ქალაქის სტატისტიკურ აღწერის გადა.** ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროს დადგენილების თანახმად, სტატისტიკური აღწერა უნდა დაწყებულიყო მთელ რესპუბლიკაში 30 ნოემბერს, მაგრამ ზოგიერთ მაზრების მოუმზადებლობის გამო, შესაძლებელია აღწერა გადაიდვას, ხოლო ქალაქ თბილისში აღწერა დაიწყება აღნიშნულ რიცხვიდან.

— **სარეგისტრაციო ნომერი ავტომობილებზე.** აღმასკომმა დაადგინა სარეგისტრაციო ნომერი ავტომობილს უნდა მიეკრას წინ და უკან, ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე დაჯარიმებული იქნება 5 მილიონი მანეთით. აღრიცხვის ვადის დაწესება და სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარება დაევალა გადასახადთა ბიუროს.

— **ქალაქის მცხოვრებთა კვების გამორკვევა.** მოხდეს ქალაქის მცხოვრებთა კვების გამორკვევა, საქალაქო აღწერის დამთავრების შემდეგ. სულ შევსებულ უნდა იქნას ქალ. თბილისში 900 ბლანკი. აღწერის მოსახდენათ გადაიდვა 90 მილიონი.

— **საქალაქო აღწერისათვის.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა საქალაქო აღწერისთვის ხალხის მომზადების მიზნით ქალაქში მოეწყოს ლექციების კითხვა, რომლისთვისაც გადაიდვა სპეციალური თანხა.

— **ქუჩის სახელის შეცვლა.** ქალაქის აღ. პრეზიდიუმის დადგენილებით კორლანოვის ქუჩას შეეცვალა სახ და დაერქვა კომუნარ კორლანოვის ქუჩა.

— **საბინაო საკონფლიქტო კომისიის გარშემო.** ვინაიდან მეტად ანორმალური მდგომარეობაა შექმნილი ბინის საკითხის გარშემო თბილისში ბინების სივიწროვის გამო, შეუძლებელია საბ. განყოფილების მუშაობა ასეთ პირობებში უშეცდომოთ და უდეფექტოთ, ხოლო ამ დეფექტების შესახებ საჩივრების გარჩევა პრეზიდიუმში, რაც დღემდე ხდებოდა, დიდ დროს ართმევს პრეზიდიუმს, ამიტომ აუცილებელია საკონფლიქტო კომისიის არსებობა. კომისია უკვე შესდგა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ—ამხ. რაზმაძე, წევრები: ამხ. ნიკოლაიშვილი, მესამე წევრათ კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს საბინაო განყ გამგე, ან მისი მოადგილე.

სასურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს 10 მაზრაში, სადაც წრევანდელი სასურსათო გადასახადის შეგროვება სწარმოებს, ნოემბრის 17-სთვის ხორბლეულის ერთეულით აკრეფილია 560 204 ფუთი, ანუ 97,4 პროც ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

ამ რიგად ასაკრებია კიდევ სულ 2,6 პროცენტი, ანუ 14.796 ფუთი ხორბლეულის ერთეული.

რომელ მაზრაში რამდენი აიკრიბა?

მაზრები	რამდენი ფუთია შეწერ.	რამდენი ფუთია აკრებ.	რამდენი პროც. ია აკრეფილი?
გორისა	100.000	100.000	100,0
თელავის	60 000	60.000	100,0
სიღნაღისა	100 000	100.000	100,0
სამხრეთ-ოსეთი	25 000	25 000	100,0
ტფილისისა	70.000	70.000	100,0
ახალციხისა	55.000	55.000	100,0
ბორჩალოსი	80 000	75 903	94,9
ახალქალაქისა	35.000	32 752	93,6
დუშეთისა	30 000	26.171	87,2
თიანეთისა	20.000	15.378	76,9
სულ	575.000	560.204	97,4

რა პროდუქტებია შეგროვილი?

სასურსათო გადასახადი გროვდება როგორც ხორბლით, ისე სხვა პროდუქტებით და ფულად. დღემდე შეგროვილია:

ხორბალი	385.387	ფუთი
ქერი	33.160	ფ.
ჭვავი	5.084	ფ.
სიმინდი	12.442	ფ.
ქერდიკა	384	ფ.
ფეტვი	430	ფ.
სახვი	1.854	ფ.
კართოფილი	5.991	ფ.

სასურსათო გადასახადი.

ლობიო	12.355	ფუთი
კარაქი	194	ფ.
ერბო	55	ფ.
ყველი	481	ფ.
მატყლი	1.620	ფ.
ხორცი	9.336	ფ.
მსხალი	9	ფ.

კამპანიის მსვლელობა.

ახალქალაქის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის ცნობით ნოემბრის 8-დან 15 მდე წრევანდელ სასურსათო გადასახადის ანგარიშში აკრეფილია: ხორბალი—324 ფ., ქერი—42 ფ., ხორცი—71 ფ., ცხვარი—421 ფ., ნაცვლად 19 ფუთი ხორბლისა—3 880 000 მან.

შარშანდელ გადასახადის ნარჩენის ანგარიშში შემოვიდა: ხორბალი—35 ფ., ქერი—6 ფ., ცხვარი—87 ფუთი, ხორცი—9 ფ. და ვაშლი 62 ფ.

თიანეთის მაზრა. სამაზრო სასურსათო კომისარის ამხ. ლეჟნევის ცნობით, სულ ასაკრებია კიდევ მაზრაში 4.000 ფუთი. გადასახადის სრულად აკრება მოკლე ხანში დასრულდება. თუ დღემდე სრულიად არ არის გადასახადი აკრეფილი, ამისი მიზეზი მხოლოდ ადგილობრივი პირობებია.

სხვა და სხვა

— **შეცდომების გასწორება.** ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში წასულია ბევრი კორექტურული შეცდომები. ვასწორებთ უმთავრესს: ამხ. ტროცკისთან ინტერვიუს პირველ ნაწილის სათაურში არის: „სადაო საკითხების მოწესრიგება შესაძლებელია **შეიარაღების** გზით“, ხაზგასმული სიტყვა უნდა იყოს **შეთანხმების**, და სხ. ამხ. დ. ნასარიძის წერილში სათაურით: „საკითხი გადასახლების შესახებ“—პირველ სვეტში შემდეგი შეცდომებია: „პოლიტიური საშუალებით“, შემდეგ „დანაშაულობათ“... უნდა იყოს: „პოლიტიკური საშუალებით“.., „დანაშაულობით“ და სხ. დეპეშებში—გერმანიის ამბები—დაბეჭდილია შავით „ფაშისტები გერმანიაში“, უნდა იყოს: „გაფიცვები გერმანიაში“ და სხ.

— **ბავშვებისათვის.** ამხ. კამოს სახელობის ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად ქალაქის აღმასკომის სალაროში შემოვიდა შემდეგი შემოწირულება: 11 ნოემბ. 1922 წ. სრულიად რუსეთის მომხმარებელ საზოგადოების ცენტრალურ კავშირის თანამშრომლებისაგან 3.040.000 მან.

— თანახმად კოოპერატიულ სამმართველოს კოლეგიის დადგენილებისა კოოპერატიულ ბანკის აქციონერთა ყრილობა მოხდება ცეკავშირის ყრილობის შემდეგ.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი

„მიდრე ხვალ“—სენკევიჩის, რეჟისორი აკაკი ფაღავა. შაბათი, 18 ნოემბერი.

ეს წარმოდგენა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს ამ სეზონში. თვით პიესაც საკმაო ინტერესს იწვევს. არის თილისმიანი და პოეტური მომენტები დრამატიული დინამიკით რომ ვითარდება. მასში მოცემულია მხატვრულათ ნერონის ხანა და პატრიციების ცხოვრება ბიწიერებით. ამავე პროცესში თვალსაჩინოა ქრისტიანობის სიყვარული თევზის ნიშანით რომ ციურობისაკენ ილტვის. ამ ნიშანსა და წარმართობის დაპირისპირებაში თავის სიძლიერით ინაკვთება სიყვარული (ლიგია—ალისა ქიქოძე) რომელიც რაც უფრო წინააღმდეგობას ხვდება, მით უფრო ცხოველდება და მარადიულ ელფერს იღებს (მარკუსში—ალ. იმედაშვილი). ამ ხაზით მიდის სინანული სიყვარულს მოწყურებული პატრიცის, რომელიც შერყვნილ ტრადიციის გამო უკმაყოფილოა ბედის (პეტრონიუსი—გ. დავითაშვილი) და ეძებს მაღალ სულს, ბავშურ სიწმინდეს და სიყვარულს ნამდვილს (ევნიკა—ელ. დონაური). შემდეგ ნერონი თავისი უცნაური და სადაო ფიზიონომიით—ყველაფერი ეს, აღნიშნულმა პერსონაჟებმა და საერთოთ თითქმის ანსამბლმაც შესძლო მოეცა მთლიან შთაბეჭდილების ქვეშ. დადგმული საინტერესო იყო. აღსანიშნავი იყვნენ აგრეთვე ვ. ჯიქია—ტიგელინი და სარჩიმელიძე (გაიძვერა) უკანასკნელი ხანდისხან აშარჟებდა როლს.

მაგრამ აღსანიშნავია კიდევ ერთხელ, რომ წარმოდგენებს ხალხი სრულებით არ ესწრება და განსაკუთრებით ამ წარმოდგენაზე მონაწილენი უფრო ბევრნი იყვნენ მაყურებლებზე. საჭიროა საზოგადოებამ გული მოიბრუნოს თეატრზე და ასეთ წარმოდგენებს მაინც დაესწროს.

რ. ვ.

— **არტურ ლეისტის წიგნი.** არტურ ლეისტმა შეიტანა განცხადება სახელმწ გამომცემლობაში, რომ გამოცემულ იქნეს მისი წიგნი ქართულ ენაზე „საქართველოს გული“. წიგნში მოთავსებული იქნება ის წერილები, რომლებიც დაიბეჭდა სხვადასხვა ლიტერატურულ გამოცემებში და აგრეთვე ახალი წერილები, რომლებსაც ამზადებს ავტორი ამ წიგნისათვის.

— **გაზეთი „ბახტრიონი“.** გამოვიდა გაზეთ ბახტრიონის მორიგი ნომერი შემდეგი შინაარსით: „თათბირი ქართულ დრამაზე“ ვარლამ გაგელის, „პრესსა“—ალ. ტამურის, „დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში“—ალექსანდრე ლეონიძის, პატარა ფელეტონი—„ფეხსამოსი“—შალვა დადიანის, ლექსები: ს. შანშიაშვილის, რაჟდენ გვეტაძის, ნინო თარიშვილის, გობრონ აგარელის. გაზეთში აგრეთვე დაბეჭდილია სურათი ფერეიდანელ (სპარსეთი) ქართველის სეითოლა იოსელიანის, საკუთარი წარწერით. „ბიბლიოგრაფია“ „მეოცნებე ნიამორებზე“ და სხ.

— **ხელოვანთა სასახლე.** კვირას, 19 ნოემბერს ხელოვანთა სასახლეში ახალი მწერლების მორიგ სხდომაზე პაოლო იაშვილმა წაიკითხა მოხსენება მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძეზე. მოხსენება საინტერესო იყო და გამოიწვია ცხოველი კამათი. დარბაზი სავსე იყო ხალხით.

— **გაზეთი „ლომისი“.** გამოვიდა გაზეთი ლომისის მორიგი ნომერი. გაზეთში წერილების გარდა მოთავსებულია ლექსები: კოტესი, ომოლი მუშის და ტერენტი გრანელის.

— **ხელოვანთა სასახლე.** სრ. საქართველოს მწერალთა ძველი კავშირი ახლო ხანში ხელოვანთა სასახლეში გამართავს საღამოს ჭოლას, (ვიკენტი ლომთათიძის) სახელზე. საღამოზე სიტყვებს იტყვიან ჭოლას შემოქმედებაზე და აგრეთვე წაკითხული იქნება მისი დაუბეჭდავი ნაწერები.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, სამშაბათს, 21 ნოემბერს „ევგენი ონეგინი“ ახალი შემადგენლობით.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო.

29 ოქტ. 1922 წ. ქალ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატთან, საყ. სამხ. სწავლებ. და გადამზადებ ნაწილთან არსებულმა კულტურულ განმანათლებელმა სექციამ მოაწყო ცენტრალურ მუშათა კლუბში სალიტერატურო საღამო გურიის რკინის გზის და კულტ. განმანათლებელ სექციის სასარგებლოთ, რომელმაც მოგვცა შემოსავალი 33.525.000 მ. სართიჭალის სამხ. სკოლის უფროსის ამხ. ჩხიკვაძის მიერ გამართულ საღამოდან—1.030.000 მ. შემოწირულება ამხ. ლეჟავასაგან და მე 2-რე სამხედრო სკოლის თანამშრომლებიდან 700.000 მ. სულ 35.255 000 მ.

აქედან ხარჯი იყო 19.440 000 მ. დარჩა მოგება 15 895 000 მ. მოგებიდან გადაეცა გურიის რკინის გზის დამხმარე კომისიას, რომელიც არსებობს სამხედრო კომისარიატთან ამხ. კობიძის თავმჯდომარეობით 7 მილიონი მან. დანარჩენი კი ე. ი. 8.895.000 მ. კულტურულ განმანათლებელ სექციას სხვა და სხვა მორიგ კულტ განმანათლ. მუშაობის საწარმოებლად.

კულტურულ-განმანათლ. სექციის თავმჯდომარე **გველესიანი**

P. S. ვთხოვ ყველა ადგილობრივ და პროვინც. გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი, ამასთანავე ვთხოვ ბათუმის გაზეთს შეგვატყობინოს თუ სად უნდა გადაიგზავნოს შემოსული ფული.

ი. გ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 22.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსა.

ამა ნოემბრის 30 ს განზრახული საქართველოს, აჭარის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ქალაქთა საერთო მოსახლეობის აღწერის სათანადოდ განხორციელებისათვის სავალდებულოდ ჩაითვალოს:

1. სახალხო კომისარიატებისათვის განთავისუფლება სამსახურისაგან საალწერო დღეებში საბჭოთა იმ მომუშავეებისა, რომელნიც, ადგილობრივ საალწერო ბიუროსთან ნებაყოფლობითი შეთანხმებით, გაწვეულნი იქნებიან საალწერო მუშაობისათვის.

შენიშვნა: გამონაკლისი შეიძლება საბჭოთა იმ მომუშავეების მიმართ რომელთა მაგიერობის გაწევა სხვებისთვის მოუხერხებელია მათი სამუშაოს ხასიათის მიხედვით და რის გამოც მათი მონაწილეობა აღწერაში შეუძლებელი იქნება.

2. იმ შემთხვევაში, უკეთუ ადგილობრივ საალწერო ბიუროებს საშუალება არ ექნებათ შეაგროვონ აღწერისათვის საჭირო თანამშრომლების შტატი,—მათ უფლება ეძლევათ—დაიხმარონ საალწერო მუშაობისათვის შრომის სკოლების მასწავლებელნი და ტეხნიკუმების უფროსი კლასების მოსწავლენი, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლენი; ზემოაღნიშნულნი პირნი საალწერო დღეებში განთავისუფლებულ უნდა იქნენ, საალწერო ბიუროების სიით, მეცადინეობისაგან.

სრულიად საქარ. საბჭ. ცენტ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი**

სრულიად საქართ. საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მდივანი **თ. კალანდაძე.**

1922 წ. ნოემბრის 20
თბილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოში საქმეების დამცველთა კოლეგიისა

1. სასამართლოში საქმეების დამცველთა კოლეგია არსებობს სახალხო მოსამართლეთა საბჭოსთან. კოლეგიის წევრი აწარმოებს საქმეს სასამართლო დაწესებულებაში, როგორც დაინტერესებული პირის და დაწესებულებების მინდობილობით, ისე კოლეგიის პრეზიდიუმის დანიშვნით.

2. დამცველთა კოლეგიის წევრობა შეუძლიან იმ პირს, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება მიუღია, აგრეთვე იმას, ვისაც საბჭოთა იუსტიციის დაწესებულებაში გაუვლია პასუხისმგებლო მუშაობის პრაქტიკული სტაჟი არა ნაკლებ 1 წლისა (მოსამართლე, გამომძიებელი, კონსულტანტი, მხარის წარმომადგენელი სამოქალაქო პროცესში და სხვ.)

შენიშვნა: იქ, სადაც არ იქნება საკმაო რიცხვი მე-2 მუხლში აღნიშნული პირებისა, კოლეგიის წევრად შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი პირიც, რომელიც ამ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს.

3. არ შეიძლება სასამართლოში საქმეების დამცველთა კოლეგიის წევრად იყოს:

ა) ის, ვისაც სრულ წლოვანებამდე არ მიუღწევია;

ბ) ვისაც არა აქვს საარჩევნო უფლება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა 1921 წლ. 11 ივლისის დებულებისამებრ;

გ) ვინც გამოძიებასა და სამართალშია მიცემული ისეთი დანაშაულის გამო, რომლის ჩადენისთვისაც საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ან სხვა უფრო მძიმე სასჯელი;

დ) ვისი უფლებაც შეზღუდულია სასამართლოს განაჩენით;

ე) ვისზედაც მეურვეობაა დაწესებული;

ვ) ვინც გამორიცხულია დამცველთა კოლეგიის წევრობიდან;

ზ) ვისაც სასამართლოს განაჩენით მსჯავრი დაედო ანგარი ან სახელშემბღალავი ხასიათის დანაშაულისათვის, აგრეთვე ის, ვინც აღნიშნული დანაშაულებრივი მოქმედებისათვის მსჯავრის დადებამდე ან მას შემდეგ ამნისტიით განთავისუფლებულ იქნა გამოძიებისა, სასამართლოსა ან სასჯელისაგან.

შენიშვნა: დამცველთა კოლეგიის წევრობიდან უვადოთ გამორიცხულს ხელახლად კოლეგიის წევრად ჩარიცხვა შეუძლიან ითხოვოს მხოლოდ მაშინ, როდესაც გამორიცხვის დღიდან გაივლის არა ნაკლებ სამი წლისა.

4 დამცველთა კოლეგიის წევრს არ შეუძლიან თანამდებობა ეჭიროს სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში. გამონაკლისი შეიძლება: 1) იმისთვის, ვინც იურისკონსულტის მოვალეობას ასრულებს, 2) ვისაც სახელმწიფო თანამდებობა არჩევნებით უჭირავს, გარდა თანამდებობისა სასამართლო უწყებაში, და 3) იურიდიული მეცნიერების პროფესორისა და მასწავლებლისათვის.

5. დამცველთა კოლეგიის წევრობის მსურველმა სათანადო განცხადება უნდა შეიტანოს კოლეგიის პრეზიდიუმში, თანაც წარადგინოს თავისი ცხოვრების მოკლე აღწერა და საჭირო საბუთები.

6. პრეზიდიუმის დადგენილება კოლეგიის წევრად მიღებისა ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იქნეს. იგი დამყარებული უნდა იქნეს განმცხადებლის მიერ წარდგენილ საბუთებზე.

7. უარი კოლეგიის წევრად მიღებაზე ერთი თვის განმავლობაში შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სახალხო მოსამართლეთა საბჭოში, რომელიც, დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმის განმარტების მოთხოვნის შემდეგ, უკეთუ სცნობს, რომ საჩივარი შესაწყნარებელია, წინადადებას აძლევს კოლეგიის პრეზიდიუმს, მთხოვნელის ჩარიცხვის საკითხი ხელახლა გადასინჯოს.

8. დამცველთა კოლეგიაში ყოველი ახალი წევრის ჩარიცხვა კოლეგიის პრეზიდიუმმა სამი დღის განმავლობაში უნდა აცნობოს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმს.

9. სახალხო მოსამართლეთა საბჭოს ერთი თვის განმავლობაში ცნობის მიღებისას ამა თუ იმ პირის კოლეგიის წევრად ჩარიცხვის შესახებ შეუძლიან აცილოს ჩარიცხული, რაც უნდა აცნობოს კოლეგიის პრეზიდიუმს, უკეთუ ერთი თვის განმავლობაში ასეთი აცილება არ მოხდა, კოლეგიის პრეზიდიუმი ახალ წევრს აძლევს მოწმობას კოლეგიაში ჩარიცხვისა.

10. კოლეგიის წევრებმა საზოგადო კრებაზე უნდა აირჩიონ კოლეგიის პრეზიდიუმი, რიცხვით სამიდან შვიდ კაცამდე ერთი წლის ვადით. კოლეგიის პრეზიდიუმის წევრთა სია უნდა ეცნობოს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს.

შენიშვნა: კოლეგიის პრეზიდიუმს შეუძლიან მოაწყოს სამაზრო ქალაქში დამცველთა სამაზრო ბიურო, რომლის წევრებსაც აირჩევს მაზრაში მცხოვრებ დამცველთა საზოგადო კრება, ან სამაზრო დამცველთა რიცხვიდან დანიშნოს თავისი რწმუნებული. ეს დადგენილება კოლეგიის პრეზიდიუმმა უნდა აცნობოს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმს და იუსტიციის სახალხო კომისარიატს.

11. დამცველთა კოლეგიის საზოგადო კრებას მოიწვევს კოლეგიის პრეზიდიუმი, ან და ასეთი კრება მოწვეულ უნდა იქნეს კოლეგიის წევრთა რიცხვის არა ნაკლებ მეხუთედის მოთხოვნისამებრ. საზოგადო კრების საქმეს შეადგენს: ა) კოლეგიის პრეზიდიუმის არჩევა და მისი ანგარიშის მოსმენა; ბ) ისეთი საზოგადო საკითხის განხილვა, რომელიც ეხება დამცველთა მთელი კოლეგიის მოქმედებას; გ) კოლეგიის ფონდში გადასარიცხის დაწესება; დ) შემუშავება კონსულტაციის მოწყობის საერთო გეგმისა მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად; ეს გეგმა დასამტკიცებლად სახალხო მოსამართლეთა საბჭოს უნდა წარედგინოს.

შენიშვნა 1. საზოგადო კრების ოქმი სამი დღის განმავლობაში ცნობისათვის უნდა გაეგზავნოს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმს და საპროკურატურო განყოფილებას.

შენიშვნა 2. კოლეგიის პრეზიდიუმის ასარჩევად საჭიროა საზოგადო კრებას დაესწროს დამცველთა კოლეგიის წევრების ნახევარზე არა ნაკლები რიცხვი.

12. კოლეგიის პრეზიდიუმის საქმეს შეადგენს: ა) განხილვა განცხადებისა დამცველთა კოლეგიის წევრად მიღებისა ან წევრობიდან გამორიცხვისა; ბ) მეთვალყურეობა და კონტროლი კოლეგიის წევრის მიერ მისი მოვალეობის ასრულებისათვის და დისციპლინარული სასჯელის დადება კოლეგიის წევრებზე; გ) განსაზღვრა წესისა დამცველის დასანიშნავად უსასყიდლოდ დაცვისათვის და დაცვისათვის ნიხრისამებრ; დ) კონსულტაციის მოწყობა მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად; ე) კოლეგიის წევრთა საზოგადო კრების მოწვევა და ამ კრებისათვის თავის ანგარიშის ჩაბარება; ვ) მეთვალყურეობა დამცველთა სამაზრო ბიუროს და კოლეგიის პრეზიდიუმის სამაზრო რწმუნებულის მოქმედებისა; ზ) განკარგულება კოლეგიის ქონებისა და ფულისა; თ) ღონისძიება დამცველთა კოლეგიის გარდაცვლილი, მძიმედ ავადმყოფი და საქმიდან გადაყენებული წევრის საქმეთა დასაცველად.

შენიშვნა. კოლეგიის პრეზიდიუმის სხდომის ოქმის ასლი სამი დღის განმავლობაში უნდა გაეგზავნოს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმს და საპროკურატურო განყოფილებას.

13 კოლეგიის პრეზიდიუმს შეუძლიან დაადოს კოლეგიის წევრს დისციპლინარული წესით შემდეგი სასჯელი: ა) გაფრთხილება; ბ) საყვედური; გ) ჯარიმა კოლეგიის ფონდის სასარგებლოდ; დ) გამორიცხვა კოლეგიის წევრობიდან უვადოთ ან ვადით. ყოველი დადგენილება დისციპლინარული საქმის შესახებ კოლეგიის პრეზიდიუმმა უნდა აცნობოს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმს.

14. კოლეგიის პრეზიდიუმის დადგენილება დისციპლინარული საქმის გამო შეიძლება დაზარალებულმა, დისციპლინარული წესით პასუხისგებაში მიცემულმა კოლეგიის წევრმა და პროკურორმა განასაჩივრონ სახალხო მოსამართლეთა საბჭოში. საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს კოლეგიის პრეზიდიუმში, რომელიც საჩივარს მთელ საქმესთან ერთად სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმს გაუგზავნის.

15. კოლეგიის პრეზიდიუმი ყოველ ნახევარ წელს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგენს ანგარიშს კოლეგიის მოქმედებისა, საზოგადოდ, და კონსულტაციის მოქმედებისა, კერძოდ.

16. კოლეგიის პრეზიდიუმს აქვს თავისი ბეჭედი.

17. სასამართლოში საქმის წარმოებისათვის კოლეგიის წევრის რწმუნებით აღჭურვა მოხდება დაინტერესებული პირის ან დაწესებულების მიერ ნოტარიული წესით სათანადო შემოწმებული რწმუნების წერილის მიცემით ან იმ სასამართლო ორგანოსთვის განცხადებით (სიტყვით თუ წერილით), სადაც საქმე წარმოობს.

შენიშვნა: მუშათა და იმ მოსამსახურეთა საქმეების გამო, რომელთაც უფლება აქვთ დამცველს გასამრჯელო ნიხრით მისცენ, და აგრეთვე უსასყიდლოდ დასაცველ საქმეების გამო კოლეგიის პრეზიდიუმის ორდერი სისხლის სამართლის საქმეში რწმუნების წერილის მაგიერობას გასწევს, და ამასთანავე დამცველი ამ ორდერის ძალით სარგებლობს ყველა იმ უფლებას, რომელსაც ანიჭებს მას საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

18. დამცველთა კოლეგიის წევრს საქმის გათავებამდე არ შეუძლიან საწარმოებლად მიიღოს მოწინააღმდეგე მხარის საქმე.

19. საქმის წარმოებისთვის გასამრჯელო განისაზღვრება, საზოგადოდ, დაინტერესებული პირისა და დამცველთა კოლეგიის წევრის ურთიერთთან შეთანხმებით, ხოლო, თუ შეთანხმება არ მოხდება,—ამა დებულებასთან დართული ნიხრით ურთიერთთან შეთანხმების წესი არ ვრცელდება სახელმწიფო და კერძო საწარმოს მუშებზე და საბჭოთა დაწესებულების და სახელმწიფო საწარმოს მოსამსახურეებზე; ეს პირნი გასამრჯელოდ გადიხდიან ამ ნიხრით განსაზღვრული თანხის ნახევარს.

20. კოლეგიის ყველა წევრი მოვალეა მონაწილეობა მიიღოს კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ მოწყობილ კონსულტაციაში.

21. დამცველთა კოლეგიის წევრი მოვალეა იქონიოს საქმის დავთარი, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: საქმის მიღების დრო, საქმის შინაარსი, საქმის მსვლელობა, აგრეთვე ყოველგვარი შემოსავალი და ხარჯი საქმის გამო და ცნობები ანგარიშის გასწორებისა იმ პირთან, ვის საქმესაც აწარმოებს.

22. დამცველთა კოლეგიის მაზრაში მომუშავე წევრს კოლეგიის პრეზიდიუმის ნებადაურთველად არ შეუძლიან ამ მაზრაში, მუშაობას თავი გაანებოს.

23. კოლეგიის წევრს მუდმივად საცხოვრებელ ადგილიდან წასვლა ორ კვირაზე მეტი ხნით შეუძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას წინდაწინვე აცნობებს კოლეგიის პრეზიდიუმს, და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ყველა მისთვის მინდობილი საქმისათვის დანიშნული იქნება შესაფერი მოადგილე კოლეგიის წევრთაგან.

24. დამცველთა კოლეგიის წევრი, რომელიც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლის მოვალეა აცნობოს, ეს გარემოება კოლეგიის პრეზიდიუმს.

25. დამცველთა კოლეგიის გარდაცვლილის, მძიმე ავადმყოფის, უკვალოდ დაკარგულის ან გამორიცხული წევრის საქმეებისათვის კოლეგიის პრეზიდიუმი დანიშნავს მოადგილეს კოლეგიის წევრთაგან, რომელიც მოვალეა მიიღოს ყოველივე ღონისძიება წარმოებაში მყოფი საქმეების ვითარების გამოსარკვევად და მოახსენოს ეს კოლეგიის პრეზიდიუმს.

26. დამცველთა კოლეგიის წევრი მოვალეა იმ გასამრჯელოდან, რომელსაც იღებს, გადასდოს განსაზღვრული თანხა და შეიტანოს იგი უმეშვეოდ კოლეგიის პრეზიდიუმის სახელდახელო ანგარიშზე ან კოლეგიის პრეზიდიუმის თუ დამცველთა სამაზრო ბიუროს მეშვეობით. გადასარიცხი თანხის რაოდენობა განისაზღვრება ამა დებულებასთან დართული წესით.

27. დამცველთა კოლეგიის პირველი პრეზიდიუმის არჩევამდე, კოლეგიის წევრად მიღება მოხდება იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ სახალხო მოსამართლეთა საბჭოს წარდგენით.

28 პირველ საზოგადო კრებას პრეზიდიუმის ასარჩევად მოიწვევს სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც კრებაზე თავმჯდომარეობისათვის დანიშნავს ერთ-ერთ თავის წევრს.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე—**ბრონსკი.**

1922 წ. ნოემბრის 11.
ქ. ტფილისი.

დამატება 19 მუხლისა.

ნ ი ხ რ ი

სასამართლოში საქმეების დამცველთა გასამრჯელოსი

1. შუამდგომლობისთვის საქმეზე პირველ ინსტანციაში დამცველს გასამრჯელო ეძლევა სარჩელის ფასისამებრ.

უკეთუ თანხა 5,000 მანეთამდეა (ოქროთი) 10 პრ.

უკეთუ თანხა 10,000 მანეთამდეა

მუშათა ცხოვრება

თბილისის წყალსადენში

6 ნოემბერს შესდგა წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე მოხსენება გააკეთა ამხ. ყურულაშვილმა. იგი ვრცლათ შეეხო როგორც ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობას მუშათა კლასისათვის, აგრეთვე იმ პირობებს, თუ როგორ წარმოიშვა იგი. ამხ. ყურულაშვილის მოხსენება დიდის ინტერესით იქნა მოსმენილი მუშა მოსამსახურეთა მიერ. ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ყურულაშვილისა ოქტომბრის პროლეტარულ რევოლიუციის შესახებ, ჩვენ წყალსადენის მუშა-მოსამსახურენი ვესალმებით რუსეთის პროლეტარიატს და მის ბელადებს ამხ. ლენინსა და ტროცკის, რომელთაც დაამხვეს ბურჟუაზიული წესწყობილება და დაამყარეს მუშათა და გლეხთა დიქტატურა.

გაუმარჯოს რუსეთის პროლეტარიატს, რომელიც განაგრძობს ბრძოლას მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ; გაუმარჯოს წითელ ლაშქარს, რომელიც სდგას პროლეტარიატის სადარაჯოზედ; გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას; გაუმარჯოს მე-3 მე კომუნისტურ ინტერნაციონალს; გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას.

კრების დასასრულს წყალსადენში მოვიდნენ წითელი ჯარის ნაწილები. მხურვალე სიტყვით მიმართა ჯარის ნაწილებს ამხ. ხოჯაევმა, რომელმაც აღნიშნა, თუ რაოდენი სარგებლობის მოტანა შეუძლიან წითელი ლაშქრისა და მუშათა დაახლოვებას. ამხ. ხოჯაევის მილოცვის შემდეგ მუშა-მოსამსახურეთ მიესალმა წითელ არმიელი რომელმაც განაცხადა, რომ წითელი ლაშქარი ისევე განაგრძობს მომავალში ბრძოლას, როგორც იგი დღევანდლამდი იბრძოდა მუშათა კლასისათვის, რადგან იგი თვით არის წარმოშობილი მუშათა და გლეხთა წიაღიდან.

დასასრულს ერთხელ კიდევ მიესალმა ამხ. ხოჯაევი და ვაშას ძახილით კრება დაიშალა.

შინაური

ამერიკის დამხმარე კომიტეტი

ამერიკის დამხმარე კომიტეტს ტფილისში რამოდენიმე დაწესებულება აქვს. აღსანიშნავია, რომ ეს კომიტეტი საქართველოს შრომის დაცვის კანონებს სრულებით არ უწევს ანგარიშს. ამ მხრივ საყურადღებოა მეორე საბავშო სახლი. აქ ადგილი აქვს მუშა მოსამსახურეების, შრომის უზომო ექსპლოატაციას. დავიწყებულ და ფეხქვეშ გათელილია როგორც ნორმალური სამუშაო დღის კანონი, ისე შრომის ხელფასის ნორმა.

ამუშავებს მომსამსახურეებს დილის 6 საათიდან საღამოს 8—10 საათამდე. მათთვის არ არსებობს არც კვირა უქმი დღე და რაც სხვა შეღავათი. შვებულების შესახებ ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. შრომის ხელფასიც საზღაპროთ მცირეა. ყველაზე უფროსს მოსამსახურეს აქვს 1,800,000 მანეთი. მზარეულებს, მრეცხავებს და სხვებს 400—700 ათასი მანეთი.

კომიტეტი ეწევა თვით ბავშვების შრომის ექსპლოატაციასაც. სახლთან არსებობს სადურგლო-საამკინძველო სახელოსნო. მუშაობს 12 მოზარდი. მუშაობენ არა 6 საათს, როგორც ეს შრომის კანონებითაა დაწესებული, არამედ 8 საათს. ასრულებენ ხშირად გარეშეთა შეკვეთებს. ეჭვი არაა, ამაში კომიტეტი ფულს იღებს. ბავშვებს კი არავითარი გასამრჯელო ამისათვის არ ეძლევათ. საერთოდ ამერიკის კომიტეტმა თუ არ იცის, ჩვენ უნდა გავაგებინოთ, რომ საქართველოში არსებობს მხოლოდ ერთი შრომის კანონი და ყველა ვალდებულია ის შეასრულოს. ეს შრომის ინსპექციის საქმეა.

„ცენტროტრამოტის“ კონტრ-სააგენტო

ეს სააგენტო თითქმის კერძო საფირმო ფირმაა, ის, „ცენტროტრამოტს“ მხოლოდ წმინდა მოგების 25 პროც. აძლევს. მას განაგებს ტერ მატეოსოვი. ეს ბატონი ერთობ თავხედურათ ექცევა მოსამსახურეებს. ის ყურადღებას არ აქცევს შრომის კანონებს და იქცევა ისე როგორც ეს მას მოესალისება. მისთვის არ არსებობს არც შრომის ბირჟა, არც საკონფლიქტო კომისია და სხვა. იღებს მოსამსახურეებს შრომის ბირჟის გარეშე, ითხოვს თავის ნებაზე, სცემს თავის კანონებს, ბრძანებებს შრომის მოწესრიგების შესახებ.

ნუ თუ შრომის ინსპექციამ ყურადღება არ უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და არ უნდა დაიხსნას იქ მომუშავე მუშა მოსამსახურეები ტერ მატეოსოვის თავხედობისაგან.

პ.—ძე.

ტფილისის ობსერვატორია.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზედაც ხშირად აღნიშნულა ტფილისის ობსერვატორიის მუშა მოსამსახურეთა ყოვლად აუტანელი მუშაობის პირობები. იქ ასეთ პირობებს ქმნიდა თავის კაპრიზებით და თავხედობით ობსერვატორიის დირექტორი, ყოფილი ნიკოლოზის გენერალი ბენაშვილი. შრომის კანონები მას ერთობ არ უყვარდა და მუშა-მოსამსახურეებთან დამოკიდებულებაში არც იცავდა მას. მაგრამ მალე შეუდგა წყალი და მუშა-მოსამსახურეები კრიჭაში ჩაუდგენ ყველა იმას, რაც შრომის კანონების გარეშე იყო, არ უსრულებდენ. ამ ნიადაგზე ჩამოვარდა ბენაშვილს და მის მოსამსახურეებს შორის უთანხმოება. დარაჯი დაითხოვა იმიტომ, რომ შინ შეშა არ უზიდა, რაც სრულიად არ შეადგენდა დარაჯის მოვალეობას. შემდეგ დააბრალა ქურდობა. ნაფეტვარიძე აითვალთვალა იმის გამო, რომ ის ცნობებს აძლევდა პრესას. საქმე იქამდი მივიდა, რომ აგერ სამი დღეა ამ საქმეს არჩევს შ. ს. კ. არსებული საკონფლიქტო კომისია. საქმის გარჩევა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბ—ნი ბენაშვილი შესაფერ სასჯელს მიიღებს.

ვ.—შვილი.

ხოშტარიას ყოფ. მექანიკური ქარხანა.

მუშები დიდათ არიან დაინტერესებული წარმოების აღორძინება-გაფართოებაში. ამ მხრივ საყურადღებოა შემდეგი ფაქტი. ქარხნის ინჟინერმა ქაღალდი შემოიტანა სამსახურიდან გასვლის შესახებ. ინჟინერი ნამდვილი ამხანაგია მუშების და ის დიდათაც უყვართ მათ. მუშები შეიკრიბენ და იმსჯელეს ამის შესახებ. მუშებმა კრებაზე მიიწვიეს ხსენებული ქარხნის გამგე ინჟინერიც. მან სთხოვეს მუშებმა დარჩენა ბოლოს ინჟინერიც დათანხმდა. აი ასე აფასებენ მუშები კარგ სპეცს.

ქარხნელი.

პირველ 5,000 მანეთში—500 მან. ოქ. დანარჩენში— 7 პრ.

უკეთუ თანხა 10,000-დან 30,000 მანეთამდეა—პირველ 10,000 მანეთში—850 მ. ოქროთი, დანარჩენში 5 პროცენ.

უკეთუ თანხა 30,000-დან 50,000 მანეთამდეა—პირველ 30,000 მანეთში—1,850 მ. ოქროთი, დანარჩენში 4 პროც.

უკეთუ თანხა 50,000-დან 75,000 მანეთამდეა—პირველ 50,000 მანეთში—2,650 მ. ოქროთი, დანარჩენში 3 პროც.

უკეთუ თანხა 75,000-დან 100,000 მანეთამდეა—პირველ 75,000 მანეთში—3,400 მ. ოქროთი, დანარჩენში 2 პროც.

უკეთუ თანხა 100,000 მანეთზე მეტია—პირველ 100,000 მანეთში—3,900 მან. ოქროთი, დანარჩენში—1 პროცენტი.

2. მეორე ინსტანციაში შუამდგომლობისათვის დამცველს ეძლევა პირველ მუხლში აღნიშნული გასამრჯელოს მესამედი.

შენიშვნა: საადგილ მამულო საქმის გამო შუამდგომლობისათვის პირველ ინსტანციაში დამცველს ეძლევა პირველ მუხლში აღნიშნული გასამრჯელოს ნახევარი და ამდენივე მეორე ინსტანციაში შუამდგომლობისათვის.

3. სამედიატორო სასამართლოში საქმის წარმოებისათვის დამცველს ეძლევა იმდენივე, რამდენიც პირველ ინსტანციაში შუამდგომლობისათვის.

4. უკეთუ საქმე აცილების გამო მოისპობა, დამცველის პირველ მუხლში აღნიშნული გასამრჯელო შემცირებულ უნდა იქნეს ნახევრად.

5. ისეთ საქმეში, რომელიც დაცვის წესით სწარმოობს და რომლის შეფასებაც არ შეიძლება, დამცველს ეძლევა არა უმეტეს 300 მანეთისა.

6. დამცველის გასამრჯელოს რაოდენობა სისხლის სამართლის საქმეში დაცვისათვის დამოკიდებულია დამცველისა და მისი მარწმუნებლის შეთანხმებაზედ; შეთანხმება წერილობითი უნდა იყოს, ამასთან დამცველს აეკრძალება ისეთი გასამრჯელოს გამორთმევა, რომელიც არ შეეფერება გასაწევ შრომას, საქმის სირთულეს და სიმძიმეს.

7. დამცველს უფლება აქვს მარწმუნებლისათვის მისი კუთვნილი ფულის გადაცემისთანავე ამ ფულიდან აინაზღაუროს საქმის წარმოების დროს გაწეული ხარჯი და დაიჭიროს ის გასამრჯელო, რომელიც მას ეკუთვნის ხელშეკრულებით ან, თუ იგი არ დადებულა, ნიხრით.

შენიშვნა: უკეთუ დაჭერილი ფულის რაოდენობის გამო მარწმუნებელი დავას დაიწყებს, ეს ფული წარდგენილ უნდა იქნეს კოლეგიის პრეზიდიუმში.

8. მოდავე, რომელიც საქმის გათავებამდე საკმაო საბუთის უქონლად უარს იტყვის დამცველის სამსახურზე, ან უკეთუ, საქმე შერიგებით მოისპობა, მოვალეა დააკმაყოფილოს დამცველი, თუ შეთანხმება წერილობითი არა ყოფილა, ნიხრით, ისევე, როგორც მოგებული საქმისთვის.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ბროდსკი.**

1922 წ. ნოემბრის 11

ქ. ტფილისი.

—

დამატება 26 მუხლისა.

დამცველთა მიერ მიღებულ გასამრჯელოდან საპროცენტო გადარიცხვის შესახებ.

1. დამცველი მოვალეა ყოველი სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის მიღებულ გასამრჯელოდან გადარიცხოს კოლეგიის ფონდში 3 პროც.

2. ფულის შეტანა კოლეგიის ფონდში ხდება თვეში ერთხელ მაინც; იგი ან პირდაპირ უნდა გადაეცეს კოლეგიის პრეზიდიუმის ხაზინადარს ან შეტანილ უნდა იქნეს კოლეგიის სახელდახელო ანგარიშზე სახალხო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში.

3. კოლეგიის პრეზიდიუმს უფლება აქვს შეამოწმოს სისწორე საპროცენტო გადანარიცხის შეტანისა და მოსთხოვს დამცველს წარდგენა იმ დავთარისა, სადაც აღნიშნულია მინდობილი საქმის გამო შემოსული და დახარჯული ფული და ანგარიშის გასწორება.

4. უკეთუ საპროცენტო გადარიცხვით ვერ დაჰფარავს კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ გასაწევ აუცილებელ ხარჯსა, პრეზიდიუმს უფლება აქვს გაადიდოს ხსენებული საპროცენტო გადანარიცხი პროგრესიულ-პროპორციონალური პრინციპის საფუძველზე ან დააწესოს ერთდროული გადასახადი ამა თუ იმ სპეციალური ხარჯის დასაფარავად. ყოველი ასეთი დადგენილება კოლეგიის პრეზიდიუმმა სახალხო მოსამართლეთა საბჭოს პრეზიდიუმის მეშვეობით უნდა აცნობოს იუსტიციის სახალხო კომისარს.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილე **ბროდსკი.**

1922 წ. ნოემბრის 11.

ქ. ტფილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **კომიაჩეიკას ყველა რაიკომებს და მდივნებს.** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი განმეორებით წინადადებას აძლევს პოლიტეხნიკუმის და მუშათა ფაკულტეტის რუსული განყოფილების ყველა სტუდენტებს—ორი დღის განმავლობაში გატარდენ რეგისტრაციაში პოლიტეხნიკუმის იაჩეიკას მდივანთან და სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის ქართული განყოფილების ყველა სტუდენტებს—სახელმწიფო უნივერსიტეტის იაჩეიკის მდივანთან.

ზემო აღნიშნულ იაჩეიკებში რეგისტრაციაში გატარებულნი მოიხსნებიან თავის იაჩეიკებში აღრიცხვიდან და ყველა პარტიულ მოვალეობებს ასრულებენ სტუდენტთა იაჩეიკაში.

რაიკომების საღრიცხვო სტატისტიკურ განყოფილებებს წინადადება ეძლევათ სასწრაფო წესით შეასრულონ თბილისის კომიტეტის დადგენილება.

თბილისის კომიტეტის მდივანის მაგიერ **რუბენი.**

— დღეს საღამოს 5 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია კრება მუშათა ფაკულტეტის ახ. კომკავშირის წევრების და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, რომლებიც მიმაგრებული არიან სხვა და სხვა იაჩეიკებზე. დასწრება სავალდებულოა ყველასთვის.

მე 4 რაიკომი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიკომი იტყობინება, რომ 22 ნოემბერს საღამოს 5 საათზე, ცენტრალურ წითელ არმიელთა კლუბის (სასახლის ქ.) შენობაში შესდგება მეოთხე რაიკომის წევრების და კანდიდატების საერთო კრება.

დღის წესრიგი:

მოხსენება ამიერ კავკასიის პარტიულ კონფერენციის შესახებ. სავალდებულოა ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება.

— სამშაბათს 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პრ. № 22) **შესდგება ქართულ მარქსისტული** წრის კრება. ამხ. ი. თალაკვაძის ხელმძღვანელობით.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის აგიტ პროპი.

— ცენტრალურ კომიტეტის დადგენილების თანახმად, წინადადება ეძლევა ამხ. გ. ცაბაძეს, კარაევს, ეჯიბიას და ივან გეიდენს დაუყონებლივ გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საღრიცხვო სტატისტიკურ ქვე-განყოფილებაში.

საღრიცხვო სტატისტიკურ ქვე განყოფილების გამგე.

— ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის დადგენილების თანახმად ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე 4 რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ყველა სტუდენტებს და მუშათა ფაკულტეტების მსმენელთ პარტიის წევრებს და კანდიდატებს, რომელნიც იმყოფებიან პოლიტეხნიკუმის იაჩეიკას გარეშე და რომელნიც მუშაობენ სხვა იაჩეიკებში და რაიონებში სამი დღის ვადაში დღიდან ამა განცხადებისა, გატარდენ რეგისტრაციაში საღრიცხო სტატისტიკური ქვეგანყოფილებაში მე-4 რაიკომში პოლიტეხნიკუმის იაჩეიკაში გადასაგზავნად.

რაიკომის პ. მ. **რუბენი.**

— სამშაბათს, 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის სტუდენტების კომიაჩეიკის წევრთა და კანდიდატთა **გაწმენდა** დასწრება ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა. ს. უნივერ. სტუდენტთა კომიაჩეიკის მდივანი: **ან. ბუაჩიძე.**

განცხადებები

რუსთაველის თეატრი

დღეს, 21 ნოემბერს

სიმახინჯე

დადგმა მ. ქორელისა. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

(კრ. 604—1—1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 21 ნოემბერს

ევგენი ონეგინი

ოთხშაბათს, 22 ნოემბერს

ურიის ქალი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 603—1—1)

21 ნოემბერს დილის 10 საათზე ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში

დანიშნულია კრება

ყველა ქალაქის აღმწერლებთათვის

ინსტრუქციებთან გასაცნობად.

სახსტატისტიკო საინფორმაციო განყოფილება

კრ. 608—1—1

ა-ბა „ხორც-პროდუქტი“

ამით აცნობებს ხორცის პროდუქტების ყველა ბითუმად მყიდველებს

სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და ხორცის კერძო მოვაჭრეებს, რომ

მიმდინარე წლის 20 ნოემბრის ორშაბათიდან

იხსნება

ხორცის განაწილებელი ცენტრალური პუნქტი—ვერის მოედანი (ქალაქის ყოფილი დუქანი)

ხორცის პროდუქტების გაცემა სწარმოებს ყოველ დღიურად დილის 7 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

ხორცის წვრილ წვრილად გაყიდვა სწარმოებს სხვა და სხვა რაიონში ამხანაგობის საბითუმო საწვრილმანო მაღაზიებში.

ფასები საბაზრო ფასებზე დაბალია

დაწესებულ ფასების დარღვევის ცუდი ხარისხის პროდუქტების გაცემის და სხვ. შესახებ განცხადებები მიიღება ამხანაგობის კანტორაში.

მისამართი: არსენ ჯორჯიაშვილის ქუჩა ყოფილი ბარიატინის) № 6 ტელეფ. 7—93.

(კრ. 599—3—2) **გამგეობა.**

ქ. თბილისის 1-ლ რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სასამართლოში იოსებ გრიგოლის ძე ვარძელოვს, როგორც მოპასუხეს გიორგი ედიშერის ძე ზუკაკიშვილთან ნატარიალური სიგელის გადაცემაზე და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა არ გამოცხადდება დანიშნულ იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება. 1 ლი რაიონის სახალხო სასამართლო იმყოფება სასამართლოს ქუჩაზე № 32.

(542 1—1) სახალხო მოსამართლე (ხელს აწერს).

ვინაიდან 13 ნოემბერს დანიშნული

ქალ. თბილ. საბჭოს განათლ. სექციის

კრება

არ შესდგა, საკმაო წევრების გამოუცხადებლობის გამო,

კრება ხელმეორედ ინიშნება

სამშაბათს, 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე,

ქალაქის აღმასკომის შინაზე. სხდომა კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს მას.

გამოუცხადებელი წევრები გარიცხული იქნებიან სექციიდან.

აღმასკომის მდივანი ლ. თოკანაძე

(კრ. 591 2—2)

სადგურ ტფილისში

საქართველოს რკინის გზის არტელ

„მშრომელთა კომუნა“-ს

ჰყავს პირველი

„დუხოვოი“

აკადემიური ორკესტრი სრული შემადგენლობით და ფართო რეპერტუარით, რომელიც შეუძლიათ მსურველებმა დაიქირავონ ხელმისაწვდომ ფასებში. „კომუნა“-ს წევრებს უფასოდ.

მისამართი: სადგური ტფილისი რკინის გზის არტელი „კომუნა“-ს ცენტრალური გამგეობა. (კრ. 549—2—2)

მილიციის გაწმენდა

რესპუბლიკის მილიციის წმენდის ცენტრალური კომისია სთხოვს ყველა ამხანაგებს და მოქალაქეებს, რომელთაც კი მოეპოვებათ ცნობები მილიციის რომელიმე თანამშრომლის თავის თანამდებობაზე შეუფერებლობის შესახებ წარუდგინონ ასეთები **კომისიებს,** რომელნიც არსებობენ ქალაქისა და სამაზრო მილიციის სამმართველოებთან, ხოლო ცნობები თბილისის ქალაქის მილიციის თანამშრომლების შესახებ წარადგინონ მილიციის **პოლიტ-სეკრეტარიატში**

(შინაგ. ნ საქმეთა სახალხო კომისარიატი).

კომისიის თავმჯდომარე: **ვლ. ქავთარაძე.**

კრ. 607—7—1

აღმასკომის ცენტრალურ სამკურნალოსთან

(პუშკინის ქ. № 10)

ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ გახსნა კანით და ვენერიულ ავადმყოფობის განყოფილება. ავადმყოფები მიიღებიან ყოველ დღე 9—11 საათამდე, გარდა კვირა უქმე დღეებისა.

ჯანმრთელობის განყოფილების გამგე—გაჭაძე.

(კრ. 600—3—2)

საკონსულტაციო

სამკურნალო კაბინეტი ბავშვთა ექიმების:

მედიცინის დოქტორის

ვ. ვ. შენგელიძის და ექიმი ქალის **გ. დ. ხანცინის**

ბავშვების მიღება ყოველ დღე (გარდა კვირისა) 1—3 საათამდე დღ. ძუძუმწოვარ ბავშვების კონსულტაცია ოთხშაბათობით და შაბათობით დღის 1—3 საათამდე. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტეინის ქ. № 1, გოლოვინსკის კუთხე. ტელეფ. № 18—14. (517—25—8)

განკარგულება

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებულის

საქართველოში

მიმდინარე წლის 24 აგვისტოს განკარგულების მე-6, 7 და 8 მუხ. მუხ. შესაცვლელად 1922 საგადასახადო წლისათვის საშემოსავლო გადასახადის გაწერის შესახებ ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში **ადგენს:**

გადადებულ იქნან 1922 საგადასახადო წლისათვის საშემოსავლო გადასახადის გასაწერი ვადები შემდეგნაირად:

1) გადამხდელებისათვის ხარჯის ფურცლების დაგზავნა უნდა დამთავრდეს მომავალი წლის 15 იანვრამდის.

2) რაიონის საგადასახადო განყოფილებებში საპასუხოების შეტანის უკანასკნელ ვადათ დაწესდეს მომავალი წლის 1 თებერვალი.

3) აღრიცხული გადასახადის ხაზინაში საურავ დაურიცხველად შეტანის უკანასკნელი ვადა დაწესდეს მომავალი წლის 15 თებერვალი

ამიერ კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში—**ბ. ბიბინეიშვილი.**

პირდაპირ გადასახადთა განყოფილების გამგე—**ბეზირგანიშვილი.**

11 ნოემბერი 1922 წ. ქ. თბილისი.

(კრ. 606—1—1)

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ცენტრალური სატრანსპორტო განყოფილებამ თავის განცხადებაში ოპერაციების შესახებ, რომელსაც აწარმოებს მისი

კონტრააგენტო

მოათავსა სხვათა შორის გაზეთ „პრავდა გრუზიი“-ს №№ 462, 468 474, 480 და 485-ში ისეთი მუხლები, როგორიცაა 4, 5, 9, და 10, რომელიც აუწყებს მცხოვრებთა ფართე წრეებს შესახებ იმისა, რომ ის აწარმოებს მოლაპარაკებას რკინის გზათა სამმართველოსთან ტვირთის მიღებისა და გადაგზავნის შესახებ

ამზადებს ყოველგვარ საბუთებს

აწოდებს 24 ს. განმავლობაში ვაგონს

და ჰყავს აგენტები ნავთლუღის საბარგო სადგურზე და ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან არსებულ ცენტრალურ სალიკვიდაციო საწყობში.

რკინის გზის სამმართველო აუცილებლად სთვლის განაცხადოს ყველას საყურადღებოდ, რომ ყველა 4, 5, და 9 მუხლში ნახსენებ ოპერაციებს, **რკინის გზა აწარმოებს დამოუკიდებლად ყოველგვარ შუამავალთა გარეშე,** რაც შეეხება 10 მუხლს, აქ ალბად ადგილი აქვს უბრალო გაურკვევლობას,—არასოდეს და არსად რკინის გზა არ დაუშვებს უცხო პირებს თავის საწყობებში.

(კრ. 586—3—3)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

304—25—8)

დამატებათ გაზ. „კომუნისტ“-ის № 260—12 ნოემბრის თარიღით გამოცხადებულ იმ პირთა სიისა,

რომელთაც დავალებული აქვთ ქალაქში სანიტარული მეთვალყურეობის წარმოება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი

აცხადებს:

1. **უფლება ეძლევათ** გაეცნონ საკვები პროდუქტების წარმოების წესს **ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიის წარმომადგენლებს:**

ა) პროფ. შალამბერიძეს,

ბ) ნ. მუნბლიტს,

გ) ლოლუას,

დ) ერქომაიშვილს,

ე) ხოფერიას,

ვ) ბარბაქაძეს,

2. ტფილისის ქალაქის აღმასკომის დადგენილების თანახმად, **მეთვალყურეობა** საკლავი საქონლით ვაჭრობაზე, შემოტანილ ხორცზე, საყასბოებზე, მეხვეულობაზე, გასტრონომიულ მაღაზიებზე, საკატლეტოებზე, რესტორანებზე და საზოგადოთ ხორცის პროდუქტებზე **ევალება კვემოთ ჩამოთვლილ** ქალაქის საბეითლო ქვე-განყოფილების **საბეითლო მეთვალყურეობას:**

რაიონის ბეითლები:	მათი თანაშემწეები
1. მირიანაშვილი მ. მ.,	1. ბრინსკი ს. ს.
2. მესხი ი. ი.	2. იარინი ბ. მ.
3. წერეთელი ი. ს.	3. ბრეხოვი მ. ფ.
4. ხუციშვილი შ. გ.	4. იაროსლავცევი ი. ა.

ჯანმრთელობის სახ. კომისარი

სანიტარულ-ეპიდემიურ განყოფილების

გამგე **ნაზარეტიანი.**

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 4.